

სასჯელაღსრულების სისტემის სამედიცინო ნაწილი ჯანდაცვის სამინისტროში გადადის

A4



ჰინგისი დაბრუნდა!

A6



ვირტუოზი ემიგრანტის ამბავი

A7


www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 18 იანვარი, 2006 წელი. №9 (1161)

ფასი 50 თეთრი


## ამბები

### ხელისუფლების საინფორმაციო პოლიტიკა

გასულ წელს, როგორც თბილისში, ისე რეგიონებში მომუშავე ჟურნალისტების ერთ-ერთი მთავარი პრობლემა სამთავრობო უწყებებიდან ინფორმაციის მოპოვება იყო. ხელისუფლების წარმომადგენლები კი ჟურნალისტებს ყველაზე მწვავედ სწორედ არასანდო და გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელების გამო აკრიტიკებდნენ.

A2

## ამბები

### მრიცხველები და საპროტესტო აქციები

მართალია, ფოთის ენერგომომარაგება ასე თუ ისე გაუმჯობესდა, მაგრამ ურთიერთობა მომხმარებელსა და ენერგოკომპანიის ფოთის ფილიალის ხელმძღვანელობას შორის საპროტესტო აქციების ფორმატს ვერ გასცდა.

A2

## სამართალი

### ელენე თევდორაძე საპატიმროებში დაწესებული შეზღუდვების წინააღმდეგია

ციხეებში ამანათების შეგზავნის პროცედურის გამკაცრებამ ადვოკატთა და პატიმართა ოჯახის წევრების უკმაყოფილება კიდევ ერთხელ გამოიწვია. ციხეებში დაწესებული ახალი შეზღუდვების წინააღმდეგია პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძეც.

A4


საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.


## ამინდი

| | 18/01 | 19 /01 |
|---|---|---|
| თბილისი | 6 | 2 |
| ტყიბული | 7 | 5 |
| სოხუმი | 5 | 3 |
| დმანისი | 0 | -3 |
| გორი | 3 | 1 |
| ონი | -1 | -3 |
| ზუგდიდი | 8 | 6 |
| ახმეტა | 5 | 1 |
| გაგრა | 2 | 1 |
| სამტრედია | 8 | 7 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8029 |
| ევრო | 2.1858 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.1863 |
| რუბლი | 0.0638 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| ამბები | A 4 |
| სამართალი | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| პრესომბუდსმენი | A 8 |


# ლავროვმა რუსებიც კი დააბნია

*რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა გუშინ მოსკოვში საკმაოდ ორაზროვანი განცხადება გააკეთა საქართველოდან რუსული სამშვიდობო ძალების გაყვანასთან დაკავშირებით. მისი ნათქვამი რუსული მედიის ნაწილმა სამშვიდობოების გაყვანაზე თანხმობად, ხოლო ნაწილმა -უარზე მინიშნებად აღიქვა.*

**"თუ საქართველოს პარლამენტი სამშვიდობოების გაყვანას კვლავაც მოითხოვს, საქართველოს მთავრობა კი ამ საკითხს პრაქტიკულ სიბრტყეზე გადაიტანს, მოგვიწევს საკითხი სიტუაციის ყველა ასპექტის გათვალისწინებით განვიხილოთ, ანუ იმის გათვალისწინებით, რომ მშვიდობისმყოფელები კვლავაც უზრუნველყოფენ მშვიდობას ამ რეგიონში, მიუხედავად იმისა, რომ პროვოკაციები კვლავაც გრძელდება,"** - განაცხადა რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა.

გაგრძელება A3 გვერდზე



*რუსულ მედიას ძალზე გაუჭირდა ლავროვის ღრმადდიპლომატიური გამონათქვამების გაშიფვრა.*

# H5N1-ის შესახებ ინფორმაცია არ დაიმალება

თამარ დვალი

*ფრინველის გრიპი საქართველოში ჯერ არ დაფიქსირებულა, თუმცა ერთ თვეში თურქეთიდან გადამფრენი ფრინველების მიგრაცია იწყება, რამაც შესაძლოა ვირუსის გავრცელება გამოიწვიოს. ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა და სპეციალისტებმა გუშინ ექიმებსა და მოსახლეობას ფრინველის გრიპის პრევენციის, პროფილაქტიკისა და მკურნალობის შესახებ უახლოესი ინფორმაცია გააცნეს.*

იმისათვის, რომ ფრინველის გრიპით არ დაავადდეთ, პირველ რიგში ჰიგიენური წესები უნდა დაიცვათ. როგორც ცნობილია, თურქეთის ერთ-ერთ რეგიონში გრიპის გავრცელბა მკვდარი ქათმით ფეხბურთის თამაშმა გამოიწვია. გრიპის თავიდან ასაცილებლად რაიმე ვაქცინა არ არსებობს. A გრიპის ვირუსით (H5N1) ადამიანების ინფიცირებისას ინკუბაციის პერიოდი 2-4 დღე გრძელდება. ფრინველის გრიპის აღწერილი სიმპტომატიკა ადამიანებში ტიპური გრიპისმაგვარი სიმპტომებიდან (მაგ. ცხელება, ხველა, ყელის ტკივილი და კუნთებში ტეხვის შეგრძნება), თვალის ინფექციის (კონიუქტივი), პნევმონიისა და მწვავე რესპირატორული დისტრესას ჰგავს.

აღსანიშნავია, რომ ფრინველის გრიპით დაავადებული ადამიანები ძირითადად ჰაერის უკმარისობით იღუპებიან. ადამიანებში ფრინველის გრიპზე საეჭვო ნებისმიერი შემთხვევა ლაბორატორიულ დადასტურებას საჭიროებს.

როგორც გუშინ ჯანდაცვის მინისტრის მოადგილემ ნიკოლოზ ფრუიძემ განაცხადა, სამინიტრომ უკვე გააკეთა გათვლები და ახლო მომავალში საქართველოში თანამედროვე სასუნთქი აპარატები, კარდიომონიტორები და ექიმებისთვის პირადი დაცვის ინვენტარი შემოვა. ნიღბები, რომელიც სპეციალურად ექიმებისთვის არის გათვლილი, განსხვავდება ჩვეულებრივი ქირურგიული ნიღბებისგან. ამ შემთხვევაში ვირუსის თავიდან აცილების 95 პროცენტი არსებობს. ნიღბებთან ერთად, შემოტანილი იქნება სპეციალური ხალათებიც.

პირველ ეტაპზე, ახალი ტექნიკა ინფექციური პათოლოგიის ცენტრს გადაეცემა.

**"სანამ მოსახლეობის ინფორმირებას დავიწყებდეთ, თავდაპირველად გვინდა ექიმებს ჩავუტაროთ ტრენინგები. მართალია, დღეს პანიკის საფუძველი არ გვაქვს, მაგრამ მოსახლეობას სწორი**

გაგრძელება A2 გვერდზე

# მეორე საერთაშორისო კონფერენცია პეკინში

"ფრინველის გრიპთან" ბრძოლა აქტიურდება

"ფრინველის გრიპთან" ბრძოლის საკითხებზე პეკინში გუშინ ორდღიანი საერთაშორისო კონფერენცია გაიხსნა. ეს რიგით მეორე კონფერენციაა, რომელიც ამ თემას ეძღვნება. პირველი ასეთი სახის ფორუმი გასული წლის ნოემბერში ჟენევაში ჩატარდა, სადაც დაავადებასთან ბრძოლის სამწლიანი გეგმა მიიღეს.

ფორუმის დღის წესრიგის ერთ-ერთი მთავარი საკითხია ეფექტური სამედიცინო პრეპარატების შექმნის მიზნით სახსრების მოზიდვა, "ფრინველის გრიპის" პროფილაქტიკის სისტემების შექმნა და შესაძლო პანდემიის თავიდან აცილება.

გაგრძელება A3 გვერდზე




*ფორუმის ორგანიზატორებს იმედი აქვთ, რომ "ფრინველის გრიპის" გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლისათვის კონფერენციის მუშაობის დღეებში 1.2 მილიარდი აშშ დოლარი შეგროვდება.*

# დაგვიანებით, მაგრამ განახლებული კოდექსით

*საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგილობრივი არჩევნების ოქტომბრისთვის გადატანას ითხოვს. "უმჯობესი იქნება, არჩევნების ჩატარების ვადა გადავწიოთ, რათა ამომრჩეველთა სიების ფორმირება მოვასწროთ," - აცხადებს ცესკო-ს ხელმძღვანელობა. ორ კვირაში იგი პარლამენტს წარუდგენს საარჩევნო კოდექსის ცვლილებების პროექტს, რომელიც სიების დაზუსტებასა და საარჩევნო პროცედურების გამარტივებას ითვალისწინებს.*

ნანა ქადაგიშვილი

საარჩევნო კოდექსის ცვლილებების პროექტზე (რაც ამომრჩეველთა სიების ფორმირებასა და საარჩევნო პროცედურების გამარტივებას გულისხმობს) პარლამენტის იურიდიული კომიტეტი, ცენტრალური საარჩევნო კომისია და არასამთავრობო ორგანიზაციები ერთდროულად მუშაობენ. გუშინ ცესკო-ს წევრები კომიტეტის ხელმძღვანელს შეხვდნენ და საარჩევნო კოდექსის ცვლილებების პროექტის ძირითად პრინციპებზე შეთანხმდნენ. ორ კვირაში კი ცესკო კომიტეტს არასამთავრობო ორგანიზაციასთან "ახალი თაობა - ახალი ინიციატივა" ერთობლივად მომზადებულ საარჩევნო კოდექსის ცვლილებების პროექტს წარუდგენს.

პროექტის ავტორები ამომრჩეველთა სიების ფორმირების ორ მეთოდზე (არსებული სიების დახვეწა და ამომრჩეველთა ხელახალი რეგისტრაცია) მუშაობდნენ. "ახალი თაობა - ახალი ინიციატივა" პირველ მეთოდს ამჯობინებდა. ანუ, არჩევნებამდე 40-45 დღით ადრე სიაში (რომელსაც ცესკო იუსტიციის სამინისტროს გადასცემს) შეყვანილ ყველა ამომრჩეველს პირადი ბარათები უნდა დაურიგდეს. ამის პარალელურად უნდა დაიწყოს საინფორმაციო კამპანია, რათა ამომრჩეველმა, რომელიც აღნიშნულ ბარათს ვერ მიიღებს, საარჩევნო უბანში თავი აღიდგინოს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ლარი - ვალუტა სიმბოლოს გარეშე

*მსოფლიოს მრავალ ვალუტას საკუთარი სიმბოლო გააჩნია. $ - ეს ამერიკული დოლარის, € - ეს ევროკავშირის ევროს, J - ეს ინგლისური ფუნტი სტერლინგის, Γ - ეს კი იაპონური იენის სიმბოლოა. მონგოლურ ტუგრიკსაც კი აქვს საკუთარი სიმბოლო. დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის მანძილზე ქართულ ვალუტას არასოდეს ჰქონია საკუთარი სიმბოლო. ლარს, რომელსაც მყარი და სანდო ვალუტის პრეტენზია აქვს, თავისი გრაფიკული გამოსახულება არ გააჩნია. უნდა აღინიშნოს, რომ ყოფილ საბჭოთა სივრცეში სიმბოლო არც ერთი ქვეყნის ეროვნულ ვალუტას არ აქვს. რა დატვირთვა აქვს ვალუტის სიმბოლოს, რატომ არ აქვს დღემდე ლარს საკუთარი აღნიშვნა, რას კარგავს ან რას იგებს ამით ქართული ფულის ერთეული - ამის გარკვევას "24 საათი" ცდილობდა.*

დიანა ჩაჩუა

ვალუტის სიმბოლო გააჩნია ბრიტანულ ფუნტს, იაპონურ იენს, ევროკავშირის ევროს, ინდურ რუპიას, ისრაელის შეკელს, სამხრეთ კორეის ვონს, ვიეტნამის დონგს და მონგოლურ ტუგრიკსაც კი. ყველა დანარჩენი განვითარებადი და ჩამორჩენილი ქვეყნების ვალუტებს ერთი სიმბოლო - ოთხსხივიანი მზე აერთიანებთ. უცხოელი ექსპერტების აზრით, ეს კიდევ ერთი კორექტული შეხსენებაა იმისა, თუ ვინ ვინ არის სინამდვილეში დღევანდელ მსოფლიოში.

**"ამ ვალუტებს გარკვეულწილად აქვთ ამბიცია, რომ მსოფლიო ფულის ფუნქცია შეასრულონ. შეიძლება ითქვას, რომ მათთვის სიმბოლო აუცილებელია, რათა მსოფლიოში ადვილად ცნობადი, ავტორიტეტული და პოპულარული იყვნენ,** - მიიჩნევს ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი ირაკლი ლექვინაძე. ეს უკანასკნელი ქართული ვალუტისთვის სიმბოლოს ქონას ან არქონას პრინციპულ საკითხად არ მიიჩნევს. თუმცა იმასაც აღნიშნავს, რომ სასურველია, თუ ლარს საკუთარი სიმბოლო ექნებოდა.

**"ამ ფაქტმა შეიძლება ლარის ავტორიტეტის ზრდას შეუწყოს ხელი, მაგრამ შედეგების თვალსაზრისით, არა მგონია, რაიმე არსებითი გავლენა მოახდინოს.**

გაგრძელება A2 გვერდზე

# ცვლილებები და უცვლელი პრობლემები სასჭელაღსრულების დაწესებულებებში

მაია მეცხვარიშვილი
*ქუთაისიდან*

იმერეთში არსებულ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმრების ბუნტის დაშოშმინების შემდეგ საკადრო წმენდის დრო დადგა. იუსტიციის სამინიტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარემ ბაჩო ახალაიამ თანამდებობიდან გაათავისუფლა გეგუთის მკაცრი რეჟიმის დაწესებულების უფროსი ჯეირან ხარაბაძე და მის ნაცვლად რეზო ჭარბაძე დანიშნა.

ოფიციალური ინფორმაციით, აღნიშნული საკადრო ცვლილება სასჯელაღსრულების სისტემაში მიმდინარე რეფორმას უკავშირდება, რომლის მიხედვითაც 2006 წლის ბოლომდე გეგუთის მკაცრი რეჟიმის კოლონია ქუთაისის N2 საპყრობილესთან უნდა გაერთიანდეს, რის შემდეგაც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ქუთაისის N2 საპყრობილესა და მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებას ერთი უფროსი უხელმძღვანელებს.

მანამდე კი საკადრო ცვლილება ქუთაისის N2 საპყრობილეშიც განხორციელდა: საპყრობილის უფროსის მოადგილედ ე.წ. რეჟიმის უფროსად ირაკლი კუჭუხიძე დაინიშნა. მისი წინამორბედი კლიმენტი ტაბატაძე, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ამჟამად ამავე ციხის პატიმარია. ტაბატაძე პროკურატურამ 24 დეკემბერს დააკავა. მისი დაკავების მიზეზი ქუთაისის ძველ საპყრობილეში სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ახლად დანიშნული უფროსის ბაჩო ახალაიას ვიზიტი გახდა, რომლის დროსაც ახალაიას ე.წ. "კანონიერი ქურდების" საკნები ღიად დაუხვდა. კლიმენტი ტაბატაძის წინააღმდეგ ქუთაისის პროკურატურა სისხლის სამართლის საქმეს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებით იძიებს.

გაგრძელება A3 გვერდზე

*ქართული მედია*

## ხელისუფლების საინფორმაციო პოლიტიკა

*გასულ წელს, როგორც თბილისში, ისე რეგიონებში მომუშავე ჟურნალისტების ერთ-ერთი მთავარი პრობლემა სამთავრობო უწყებებიდან ინფორმაციის მოპოვება იყო. ხელისუფლების წარმომადგენლები კი ჟურნალისტებს ყველაზე მწვავედ სწორედ არასანდო და გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელების გამო აკრიტიკებდნენ.*

ია ანთაძე

ვარდების რევოლუციის შემდეგ ინფორმაციის გაცემის წესები მკვეთრად შეიცვალა. "ახალი მოდის" კანონმდებელი უდავოდ შინაგან საქმეთა სამინისტროა. ვანო მერაბიშვილს მიაჩნია, რომ მისი სამინისტროს პრესსამსახური შესანიშნავად მუშაობს, რადგან ყოველდღიური ახალი ამბების დიდ წილს სწორედ შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაცია შეადგენს. მართლაც, არ არსებობს დღე, როცა, მაგალითად, "რუსთავი 2" მაყურებელს არ უამბობს, როგორ მუშაობს ქართული პოლიცია. ცხადია, ეს ის მასალაა, რასაც ტელემაყურებლისთვის სამინისტროს ინფორმაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველო, უფრო ზუსტად კი, ამ სამმართველოს უფროსი გურამ დონაძე ამზადებს. მაგრამ რა ხდება მაშინ, როდესაც ჟურნალისტები ცდილობენ, თავად მოიპოვონ მათთვის საინტერესო მასალა? საქართველოს ნებისმიერ ქალაქში პოლიციის მუშაობის შესახებ წვრილმანი თუ მსხვილმანი ინფორმაციის მისაღებად სწორედ გურამ დონაძის ნებართვაა საჭირო. მისი ტელეფონი კი, როგორც წესი, გამორთულია. იყო შემთხვევა, როდესაც გაზეთ "ახალი ვერსიის" ყოფილ მთავარ რედაქტორს ლიკა ბასილაიას ქუთაისში გურამ დონაძის ნებართვის გარეშე არ გაუმხილეს ერთ-ერთი პოლიციელის თანამდებობა. ბათუმში გურამ დონაძის ნებართვის გარეშე შეუძლებელია პოლიციის სადღეღამისო კრებსის მოპოვება. ოზურგეთში, ჩოხატაურში, ბორჯომში გურამ დონაძის ნებართვას ითხოვენ პატრულთან გასაუბრებისთვის. გაზეთ "ფოთის მოამბეში" არსებობს რუბრიკა "შინაგან საქმეთა სამინისტრო არ გვატყობინებს". მთელი საქართველოს შემოვლის შემდეგ შეუძლებელია ეჭვის შეტანა, რომ საინფორმაციო ველში ხვდება მხოლოდ და მხოლოდ ის მასალა, რასაც თავად შინაგან საქმეთა სამინისტრო ამზადებს საკუთარ საქმიანობაზე. ყველაფერი დანარჩენი კი მოსახლეობისთვის აბსოლუტურად ხელმიუწვდომელია. ვანო მერაბიშვილის განმარტებით, ამას ჰქვია კარგი მუშაობა. ასევე კარგად მუშაობენ სხვა უწყებებიც. კერძოდ:

- თითქმის შეუძლებელია ინფორმაციის მოპოვება თავდაცვის სამინისტროდან და ენერგოდისტრიბუციის ადგილობრივი ორგანიზაციებიდან.

- დახურულია ინფორმაცია პრეზიდენტის რწმუნებულთა ფონდების შესახებ.

- დედოფლისწყაროს და გურჯაანის რაიონის გამგებლებს - სოსო ხაჩიაშვილსა და აკაკი სიხარულიძეს ჰგონიათ, რომ პირადად მათ კეთილ ნებაზეა დამოკიდებული, რომელი ჟურნალისტი დაესწრება გამგეობის სხდომებს.

- არსებობს ერთსაათიანი კამათის აუდიოჩანაწერი იმის შესახებ, არის თუ არა საჯარო ინფორმაცია საჯარო რეესტრი და აქვს თუ არა ჟურნალისტს მისი გაცნობის უფლება. მოკამათე მხარეები არიან ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გორის ოფისის ხელმძღვანელი და შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულის კანცელარიის გამგე.

- გორში ჟურნალისტებს არ უშვებდნენ რაიონული სასამართლოს შენობაში მაშინაც კი, როცა ისინი დავაში უშუალოდ მონაწილეობდნენ მოსარჩელეების სტატუსით.

- "გაზეთი ბათუმელების" რედაქცია აჭარის ჯანდაცვის სამინისტროდან ერთი თვის განმავლობაში ამაოდ ითხოვდა სიღარიბის დაძლევის პროგრამას. საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრომ კი ამ პროგრამის ნაცვლად რედაქციას გადაუგზავნა ამონაწერი პრეზიდენტის სატელევიზიო გამოსვლიდან.

- მთელ საქართველოში უკიდურესად გაძნელებულია კომენტარის მიღება საჯარო მოხელეების მხრიდან.

შევარდნაძის მმართველობის პერიოდში ინფორმაციას რაიმე განსაკუთრებული ღირებულება არ ჰქონდა და, ამიტომ, მისი მოპოვებაც გაადვილებული იყო. ამჟამინდელი ხელისუფლება ინფორმაციას სერიოზულ ფასს ადებს და მას მხოლოდ საკუთარი შეხედულების მიხედვით ანაწილებს. არადა, საჯაროობა სწორედ იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი ინფორმაცია, რაც კანონის მიხედვით გასაიდუმლოებას არ ექვემდებარება, ხალხის საკუთრებაა და არა, ვთქვათ, ვანო მერაბიშვილის ან მიხეილ ქარელის.

იმისათვის, რომ საზოგადოებამ მიიღოს გადამოწმებული ინფორმაცია ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ, აუცილებელია, სამთავრობო უწყებების პრესსამსახურებმა ზუსტად შეასრულონ კანონის მოთხოვნები. სამინისტროების პრესსამსახურებს ჟურნალისტები ხელმძღვანელობენ და მათ შესანიშნავად იციან, რა წერია ადმინისტრაციული კოდექსის მესამე თავში. მაგრამ პრობლემის არსი სულ სხვაა. ერთდროულად ინფორმაციის შეზღუდვა და თან ჟურნლისტების დადანაშაულება არასანდო ინფორმაციის გავრცელებაში მთელ მედიას "ჭრელი პეპელას" პოზიციაში ამყოფებს, როდესაც ვერც გაფრინდები და ვერც მოფრინდები, რაც არის კიდეც ხელისუფლების საინფორმაციო პოლიტიკის მთავარი მიგნება.

**სტატია გამოქვეყნებულია რადიო "თავისუფლების" ეთერით.**

**გამაჯანსაღებელი ცენტრი**

**ნაუტილუსი**



**გთავაზობთ:**

- აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა
- "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge






**სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"**

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

# H5N1-ის შესახებ ინფორმაცია არ დაიმალება

პირველი გვერდიდან

**ინფორმირებაა საჭირო. ჩვენი სამინისტრო ინფორმაციის დამალვას არ აპირებს. თურქეთში რომ მსგავსი რამ არ მომხდარიყო, შესაძლოა ასეთ შედეგებამდე არც მისულიყვნენ. ყოველგვარი ინფორმაცია იქნება ღია და საჯარო,"** - განაცხადა ჯანდაცვის მინისტრის მოადგილემ ნიკოლოზ ფრუიძემ. მისივე განმარტებით, კარგი იქნება თუკი ჟურნალისტები ინფორმაციას სახელმწიფო წყაროებიდან მიიღებენ. ასეთ შემთხვევებში თავიდან იქნება აცილებული უსაფუძვლო პანიკა. ფრუიძის თქმით, რამდენიმე თვეში საქართველოში შემოვა მედიკამენტი "ტამიფლუ", რომელიც მკურნალობის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს.

როგორც ფირმა "ROSHE"-ს წარმომადგენელმა გუგა რამიშვილმა აღნიშნა, პრეპარატი "ტამიფლუ" ფრინველის გრიპთან საბრძოლველად ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალებაა. თუმცა, ამის გარდა არსებობს სხვა პრეპარატებიც, მაგალითად, როგორიცაა ზანამივირი. საქართველოში "ტამიფლუ"-ს შემოტანა ორ ეტაპად მოხდება. პირველ ეტაპზე კომერციული გაყიდვისთვის შემოტანილი პრეპარატი აფთიაქებში გაიყიდება და მისი ღირებულება დაახლოებით 22 ევრო იქნება. რაც შეეხება მეორე ეტაპს,



*სამედისინო უნივერსიტეტი ფრინველის გრიპზე მსჯელობს.*

ამ შემთხვევაში პრეპარატი უშუალოდ სახელმწიფოს დაკვეთით შემოვა და იგი უფასოდ დაურიგდებათ საავადმყოფოებს. სახელმწიფოს მიერ შესყიდულ მედიკამენტს, სავარაუდოდ, ზაფხულში შემოიტანენ.

**"პრეპარატის მიღება დასნებოვნებიდან პირველ 48 საათში უნდა მოხდეს. რადგანაც, "ტამიფლუ" რეცეპტორული პრეპარატია, მისი თვით გამოყენება დაუშვებელია. ტამიფლუ (ოზელტამივირი) ანტივირუსული მედიკამენტია და არა ვაქცინა,"** - აღნიშნა ფირმა "ROSHE"-ს წარმომადგენელმა გუგა რამიშვილმა.

მოსახლეობის უკეთესად ინფორმირების მიზნით, საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტმა 200 000 ცალი საინფორმაციო ბუკლეტი დაბეჭდა, რომლებიც მოსახლეობას დაურიგდება. ჯანდაცვის სამინიტროს ინფორმაციით, ამჟამად ბავშვებისთვის ერთ მილიონამდე საინფორმაციო ბუკლეტები იბეჭდება.

შეგახსენებთ, რომ ინფიცირებულ ფრინველთან ადამიანის კონტაქტი ინფიცირების ძირითადი გზაა. მიიჩნევა, რომ ექსპოზიციის რისკი მატულობს შინაური ფრინველის დაკვლის, გაპუტვის, ნაჭრებად დაჭრისა და კერძის მომზადებისას. აქამდე H5N1 ვირუსის ერთი ადამიანიდან მეორეზე გადაცემის შემთხვევები ერთეულია და ისიც მხოლოდ ოჯახის წევრებით შემოიფარგლება.

# მრიცხველები და საპროტესტო აქციები

ქეთინო ჭაკობია
*ფოთიდან*

მართალია, ფოთის ენერგომომარაგება ასე თუ ისე გაუმჯობესდა, მაგრამ ურთიერთობა მომხმარებელსა და ენერგოკომპანიის ფოთის ფილიალის ხელმძღვანელობას შორის საპროტესტო აქციების ფორმატს ვერ გასცდა. დაძაბული სიტუაციიდან გამომდინარე, ქალაქის მერი ივანე სალინაძე საქმეში ძალოვანი სტრუქტურების ჩართვასაც არ გამორიცხავს. **"ხალხი მოთმინებიდან გამოვიდა. დავუძახოთ კომპანიის ხელმძღვანელობას, ქალაქის პროკურორს, პოლიციის უფროსს, ყველა შესაბამის უწყებას და ამ კომპანიის მუშაობის საკითხი პროკურატურას გადავცეთ, მათ გამოიძიონ ყველაფერი. არ მაინტერესებს, არის თუ არა ეს სამსახური ქალაქის დაქვემდებარებაში, იგი ფოთშია და ფოთელებს ემსახურება, ამდენად, ვალდებულია ნორმალურად იმუშაოს,"** - აცხადებს სალინაძე.

ნალოგიურმა მუქარამ არაერთხელ გაიჟღერა, თუმცა შედეგი ჯერ ისევ ბუნდოვანია და მთავრობაც და მოსახლებაც იძულებული ხდება გასულ წელს დაწყებულ და ჯერაც დაუსრულებელ ინდივიდუალური გამრიცხველიანების პროცესს მოთმინებით დაელოდოს.

დიდი ხნის მანძილზე ელექტროენერგიით უზრუნველყოფის ყველაზე ხელსაყრელ ფორმად ფოთელები ე.წ. გამხოლოებულ ხაზებს მიიჩნევდნენ. კარგად აპრობირებული მეთოდი აბონენტსა და კონტროლიორს შორის ალიანსს, კვების წყაროში უკანონო ჩართვასა და მოხმარებული რესურსის საფასურად ყოველთვიური, ფიქსირებული თანხის ხელზე გაცემას გულისხმობდა. არ გაამართლა ადგილობრივი ენერგოსამსახურის ინიციატივითა და ძალებით განხორციელებულმა გამრიცხველიანების პროცესმაც. ყოველგვარი კალკულაციის, ხელშეკრულებისა და ზემდგომიდან ოფიციალური ნებართვის გარეშე მიმდინარე სამუშაოები მოსახლეობამ საკუთარი ჯიბეებიდან დააფინანსა. წესით, თითოეული აბონენტის მიერ გადახდილი 32,5 ლარი 1995 წლიდან რიცხულ, მაგრამ დაუკონკრეტებელ დავალიანებაში უნდა გაქვითულიყო, თუმცა ვალის გაქვითვის დამადასტურებელი საბუთი არავის გაუცია.

მოქალაქეებს რომელთაც დაუმონტაჟეს მრიცხველები, ელექტროენერგია მაინც მკაცრი შეზღუდვით მიეწოდებოდათ. უსაფრთხოებასა და ტექნიკურ გამართულობაზე საუბარიც ზედმეტია. მწყობრიდან ხშირად გამოსული ან მოპარული სადენებისა და მრიცხველების აღდგენას სულ ცოტა, ერთკვირიანი საპროტესტო აქციები სჭირდებოდა. ადგილობრივი ენერგოსამსახურის უფროსმა აკაკი ლომაიამ გამრიცხველიანებაზე მომუშავე ერთი ფირმის მეორით, მისთვის სასურველი, სახელდახელოდ ლოცენზირებული შპს "ფაზისი-2004"-ით ჩანაცვლება შეძლო.

მოგვიანებით ინდივიდუალურ მრიცხველებს კომუნალური დაემატა. იმედი და დაპირება, რომ სადაც მოესწრო გამრიცხველიანება, იმ უბნების მცხოვრებლები მაინც ინდივიდუალური მრიცხველების მაჩვენებლის მიხედვით გადაიხდიდნენ მოხმარებული რესურსის საფასურს, არ გამართლდა.

**"ეს არ იყო მრიცხველები, რომლის მიხედვითაც კომპანია მოსთხოვდა მომხმარებელს გახარჯული ელექტროენერგიის საფასურის გადახდას. ეს იყო მხოლოდ საკონტროლო და საორიენტაციო,"** - ამბობს დღეს ლომაია და უპირატესობას კვლავაც კომუნალურ მრიცხველებს ანიჭებს.

ხშირად ინდივიდუალური მრიცხველი 10 ლარამდე თანხას აფიქსირებს, მაგრამ ენერგოკომპანიის თანამშრომლები თითოეულ უბანზე დარიცხული დავალიანების მიხედვით 30, 40 ლარს და მეტი ოდენობით თანხის გადახდას ითხოვენ. ბუნებრივია, ყველა ვერ ახერხებს მათი კაპრიზის შესრულებას. ყველაფერთან ერთად ენერგოკომპანიამ დაზიანებული კვანძების აღდგენაც მოსახლეობის სახსრებით მოითხოვა და შედეგად ქალაქმა, გადაუხდელობის მიზეზით გამორთული ტრანსფორმატორები და თითქმის ყოველდღიურად პიკეტირებული რომელიმე უბანი თუ ქუჩა მიიღო.

იშვიათობას არ წარმოადგენს კომუნალური მრიცხველების მოპარვის ფაქტებიც. მოსახლეობაში ვრცელდება აზრი, რომ ამ შემთხვევაში თავად ენერგოკომპანიის თანამშრომლები სცოდავენ. **"აქცია დავგეგმეთ და იმავე ღამეს მრიცხველი, კვალის დაფარვის მიზნით, ისევ მათ მოიპარეს, აბა, მრიცხველი ვის რად უნდოდა?!"** - აცხადებენ ქალაქის ნაბადის უბნის მცხოვრებლები, რომლებმაც, ერთკვირიანი უშუქობით შეწუხებულებმა, მაგისტრალური გზა გადაკეტეს.

**"ეს არის მხოლოდ ვარაუდი, ყველა ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. თუ ჩვენი თანამშრომლები სცოდავენ, განურჩევლად დაისჯებიან. გამოძიება ჩვენი კომპეტენცია არ არის,"** - ამბობს პასუხად აკაკი ლომაია.

**"საქართველოს ეს ქალაქი ჩვენი კომპანიისთვის პრიორიტეტს წარმოადგენს, ენერგოკომპანიის მიერ შემუშავებული ინდივიდუალური გამრიცხველიანების კონკრეტული გეგმის მიხედვით, ფოთის 11700 მოსახლეს ენერგოკომპანია ახალ ინდივიდუალურ მრიცხველებს დაუმონტაჟებს,"** - ამბობს საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის დირექტორი დინ უაითი.

გამრიცხველიანების პროცესი კი ჭიანურდება. ის დეკემბრის ბოლოს უნდა დასრულებულიყო, თუმცა ჯერაც საკმაო სამუშაოებია დარჩენილი.

ქალაქის მთავრობაში ამტკიცებენ, რომ სრული გამრიცხველიანების შემდეგ კომუნალური მრიცხველები აღარ იარსებებს, თუმცა ლომაიას თქმით, იგი მხოლოდ დატვირთვას შეიცვლის და სააღრიცხვოს ნაცვლად საკონტროლო ფუნქცია დაეკისრება.

ასე თუ ისე, მოსახლეობა ჯერაც არა მხოლოდ თავის, ინდივიდუალურ დანახარჯს, არამედ სხვის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების ნაწილსაც იხდის. უნებრივია, უკმაყოფილებასაც ყველა შესაძლო ფორმით გამოხატავს.

# ლარი - ვალუტა სიმბოლოს გარეშე

| £ | $ | € | ? |
|---|---|---|---|
| *ფუნტი-სტერლინგი* | *დოლარი* | *ევრო* | *ლარი* |

პირველი გვერდიდან

**ლარის კონვერტირებადობა რეგიონში შორეული პერსპექტივაა. მისი გავრცელების არეალი, ჯერჯერობით, სრულად საქართველოს ტერიტორიასაც ვერ ფარავს. თუმცა მაინც ვისურვებდი, რომ ქართულ ლარს საკუთარი სიმბოლო ჰქონოდა,"** - მიიჩნევს ექსპერტი.

რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ლარის სიმბოლოს საბანკო სექტორისთვის? ამ კითხვაზე "საქართველოს ბანკის" ფინანსური დეპარტამენტის საგადასახადო დეპარტამენტის უფროსი ეფრემ ურუმაშვილი ასე პასუხობს: **"ჩემი აზრით, ფულადი ერთეული, რომელსაც სიმბოლო გააჩნია, ფინანსური ოპერაციების განხორციელების დროს გაცილებით მარტივად აღსაქმელია. მაგალითად, ვგულისხმობ წერის დროს ციფრების შესაბამისი შესატყვისობის მარტივად გამოხატვას."**

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა "თიბისი" ბანკმაც. აქ მიაჩნიათ, რომ ვალუტის სიმბოლო ნებისმიერი მყარი ვალუტის განუყოფელი ატრიბუტია. **"ლარი საერთაშორისო არენაზე საქართველოსთან არანაკლებ ასოცირდება, ვიდრე სახელმწიფოს ოფიციალური ატრიბუტები - გერბი, დროშა და ჰიმნი,"** - აცხადებენ ბანკში და იქვე იმასაც უსვამენ ხაზს, რომ ფულადი ერთეული, რომელსაც საკუთარი სიმბოლო გააჩნია, ფინანსური ოპერაციების დროს გაცილებით მარტივად აღსაქმელია.

**"ვალუტის სიმბოლოს სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ როგორც არ უნდა შეიცვალოს ფულის კუპიურას გარეგნული სახე, სიმბოლო უცვლელი რჩება. ასე რომ, სასურველია, ლარის ნიშნის შექმნა ჩვენი ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება გახდეს,"** - აცხადებენ "თიბისი ბანკში".

ლარის სიმბოლოს შესარჩევად კონკურსის ჩატარების მომხრეა საქართველოს ბანკების ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი გიორგი ცუცქირიძე. **"მიმაჩნია, რომ კარგი იქნებოდა ლარის სიმბოლოს შექმნა. ამისთვის კონკურსის გამოცხადებაც მიზანშეწონილია. მიმაჩნია, რომ ეს იდეა ძალზე მიმზიდველი იქნება, თუ ამ საკითხის გადაწყვეტა ამ გზით მოხდება,"** - განაცხადა ექსპერტმა.

### ხმაური რუბლის სიმბოლოს ირგვლივ

სხვათა შორის, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რუსეთში დიდი ხმაური იყო ატეხილი როგორც არასამთავრობო, ისე სახელმწიფო სექტორში. არასამთავრობოების მიერ გამოცხადებულ კონკურსში "რუბლის სიმბოლო" 304-მა ადამიანმა და შვიდმა კოლექტივმა მიიღო მონაწილეობა რუსეთის 65 ქალაქიდან, ასევე შვეიცარიიდან, ბელორუსიდან, აშშ-დან, ყაზახეთიდან და უკრაინიდან. მთლიანობაში 899 საკონკურსო ნაშრომი შემოვიდა.

**"რუსული რუბლი არცთუ ისე მყარი ვალუტაა და ნაციონალური სიამაყის საგანს არ წარმოადგენს. თუმცა, რუბლის მსოფლიო ვალუტად ქცევა ერთ საათში შეუძლებელია. მცირედიდან უნდა დავიწყოთ და ნებისმიერი მყარი ვალუტისთვის აუცილებელი სიმბოლო უნდა შევქმნათ,"** - ასე ჟღერდა კონკურსის ორგანიზატორების პოზიცია.

გასული წლის ბოლოს რუსეთის სახელმწიფო დუმის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარემ პაველ კრაშენინნიკოვმა საკანონმდებლო ორგანოში რუბლის სიმბოლოს დამტკიცების მოთხოვნით კანონპროექტიც კი შეიტანა. **"რუბლი ის მცირედია, რითაც შეგვიძლია ვიამაყოთ. მოდით, მასაც მოვუფიქროთ სიმბოლო!"** - მიმართავდა პაველ კრაშენინნიკოვი რუს პარლამენტარებს.

თუმცა, მცდელობის მიუხედავად, ამ ეტაპზე რუბლი კვლავ სიმბოლოს გარეშეა. უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთში რუბლისთვის სიმბოლოს შექმნის იდეა არცთუ ისე ახალია. 1999 წელს უკვე ჩატარდა მსგავსი კონკურსი. მაშინ 899 პროექტი იყო წარმოდგენილი. თუმცა, რადგან კონკურსი არასამთავრობო დონეზე მიმდინარეობდა, არც ერთი ვარიანტი სახელმწიფო დონეზე არ განხილულა. ოდნავ მოგვიანებით, კიდევ ერთი მცდელობა უშედეგოდ დასრულდა.

### საიდან აქვთ სიმბოლოები სხვა ვალუტებს?

**აშშ დოლარი:** დოლარის სიმბოლო ფინანსურ დოკუმენტებში 208 წლის წინ გამოჩნდა. დოლარის სიმბოლოს წარმოშობის საინტერესო ვერსია არსებობს: როდესაც ესპანელებს ამერიკიდან ოქროს ზოდები გამოჰქონდათ, ისინი მასზე "S" (Spain) ნიშანს აკეთებდნენ. ზოდების ესპანეთში ჩამოსვლისას ამ ნიშანს ვერტიკალურ შტრიხს უსვამდნენ, ზოდების სხვა კოლონიაში გადაგზავნისას კი კიდევ ერთ ხაზს ამატებდნენ. პირველი, ვინც ფინანსურ დოკუმენტებში დოლარის ნიშანი გამოიყენა, მდიდარი ირლანდიელი ვაჭარი ოლივერ პოლოკი იყო. ის ესპანელებისგან იარაღს პესოებში ყიდულობდა და ბუღალტრულ წიგნში თანხები $ ნიშნით შეჰქონდა.

**ინგლისური ფუნტი სტერლინგი:** აღნიშნული ვალუტის სიმბოლო ლათინურ ასო L-ს გამოსახავს, რომელიც წყვილი შტრიხებით არის გადაკვეთილი. თვით ეს ასო ლათინურ სიტყვა "libra" -ს ნიშნავს, რაც წონის რომაული ერთეულია.

**ევროკავშირის ევრო:** ევროპული ვალუტის სიმბოლო სიტყვა ევროპის პირველ ასოს გამოსახავს და ევროკავშირის ქვეყნებში ევროს მიღების შემდეგ შეიქმნა.

*მოკლედ*

### ავარია ენერგოსისტემაში

გუშინ საქართველოს ენერგოსისტემაში ავარია მოხდა, რის გამოც 500-კილოვოლტიანი მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზები "ქართლი 2" და "იმერეთი" გამოირთო.

"იმერეთზე" მომხდარი ავარიის ლიკვიდაცია გუშინ ვერ მოხერხდა. ამის შესახებ "ინტერპრესნიუსს" "საქრუსენერგოს" გენერალური დირექტორის მოადგილემ შოთა მაისურაძემ განუცხადა. მისი თქმით, მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზი სენაკი-თერჯოლის მონაკვეთშია დაზიანებული. **"სავარაუდოდ, გაწყვეტილია ტროსი. დღეს დაზიანების ადგილის აღმოჩენა ვერ მოხერხდება, რადგან უკვე ღამეა. სპეციალისტთა ჯგუფები დაზიანების ადგილის აღმოსაჩენად ხვალ, დილიდან დაიწყებენ მუშაობას და ავარიის ლიკვიდაციაზე იზრუნებენ. ავარია შეიძლება დიდთოვლობის და ყინვების გამო მოხდა,"** - განაცხადა მაისურაძემ.

შეიზღუდება თუ არა ავარიის ლიკვიდაციამდე აღმოსავლეთ საქართველოს ელექტრომომარაგება, ჯერჯერობით უცნობია. გუშინ ელექტროენერგია არ მიეწოდებოდა კახეთს, ქვემო ქართლის ნაწილს, ხოლო თბილისის ენერგომომარაგება 50 მეგავატით იყო შეზღუდული. **24 საათი**

### საქართველოში რელიგიური ტურიზმის განვითარება იგეგმება

ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარემ საბა კიკნაძემ და საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის მომლოცველთა დეპარტამენტის თავმჯდომარემ საბა გიგიბერიამ დღეს საპატრიარქოში მემორანდუმი გააფორმეს. "დღეს დადებული ხელშეკრულება მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისა და ეკლესიისათვის. ვფიქრობ, ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ტურიზმის სფეროში თანამშრომლობა მეტად მნიშვნელოვანია," - განაცხადა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ მემორანდუმის გაფორმებისას.

პროექტის მიხედვით, საქართველოში მომლოცველობის, იგივე, რელიგიური ტურიზმის განვითარება იგეგმება. საპატრიარქოსა და ტურიზმის დეპარტამენტის ერთობლივი და კოორდინირებული საქმიანობა ინფორმაციისა და მონაცემთა ბაზის ურთიერთგაცვლას გულისხმობს.

დაგეგმილია მომლოცველთა ტურისტული მარშრუტების დადგენისთვის საინფორმაციო ბუკლეტების და ინტერნეტ-გვერდის ერთობლივად შედგენა, ვიდეო და აუდიო მასალების მომზადება, მომლოცველთა სახლების (მონასტერთან არსებული სასტუმროების) შექმნა, უცხოეთში ქართველ მომლოცველთა ერთობლივი ტურნეების განხორციელების ხელშეწყობა, უცხოეთში მცხოვრებ ქართველთათვის საგანმანათლებლო-გაცნობითი ტურების მოწყობა, ეკლესია-მონასტრებთან ერთობლივი ტურიზმის საინფორმაციო ცენტრების შექმნა და სათანადო საინფორმაციო მასალებითა და პროფესიონალებით მათი უზრუნველყოფა. **ინტერპრესნიუსი**

### პრეპარატ "ტამი ფლუს" საქართველოში თებერვალში შემოიტანენ

შვეიცარიული კომპანია "როშეს" მიერ წარმოებულ პრეპარატ "ტამი ფლუს" საქართველოში თებერვალში შემოიტანენ. ფარმაცევტული კომპანია "როშეს" საქართველოს წარმომადგენლის გიორგი რამიშვილის განცხადებით, მედიკამენტს ჯერ კომერციული ფირმები შეიძენენ, ხოლო შემდგომ, 100 000 დოზა წამალი სახელმწიფოს მოთხოვნითაც შემოვა.

H5N1 ვირუსისგან თავდაცვის საშუალებად მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ პრეპარატი "ტამი ფლუ" აღიარა, რის გამოც მსოფლიოში ამ მედიკამენტის დეფიციტი შეიქმნა. "საქართველოს წამლის დეფიციტი არ შეეხება. ქართულმა კომპანიებმა "როშეს" პრეპარატი დიდი ხნის წინათ შეუკვეთეს. სახელმწიფოს მიერ მოსალოდნელი პანდემიისთვის შეკვეთილი ტვირთი საქართველოში შემოდგომაზე ჩამოვა, პრეპარატი ქვეყანაში თებერვალშივე გამოჩნდება. კომერციული გზით ჩამოტანილი "ტამი ფლუ" აფთიაქებში ექიმის დანიშნულებით გაიცემა," - განაცხადა გიორგი რამიშვილმა. **მედიანიუსი**

### ოსურ სოფელში საზენიტო დანადგარი აღმოაჩინეს

სეპარატისტული ცხინვალის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მდებარე ოსურ სოფელ დმენისში ერთობლივი მონიტორინგის ჯგუფმა "ზეუ-23" ტიპის საზენიტო დანადგარი აღმოაჩინა. როგორც "მედიანიუსს" შერეული სამშვიდობო ძალების ქართული ბატალიონის სარდალმა პაატა ბედიანაშვილმა განუცხადა, მიმდინარეობს ძიება, თუ როგორ აღმოჩნდა საზენიტო დანადგარი აღნიშნულ ტერიტორიაზე. "ერთობლივი მონიტორინგი გრძელდება. ჯერჯერობით, სხვა რამე იარაღი ან სამხედრო სალიკვიდაციო ნაგებობა არ აღმოჩენილა," - აცხადებს პაატა ბედიანაშვილი. როგორც ცნობილია, ერთობლივ მონიტორინგს კონფლიქტის ზონაში შერეული სამშვიდობო ძალების წარმომადგენლები და ეუთოს მისიის სამხედრო დამკვირვებლები ატარებენ. **მედიანიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა. დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

# სერგეი ლავროვი: სანქციები არ არის გამოსავალი

ირანის მიერ ბირთვული პროგრამის, კერძოდ, მისი უმთავრესი კომპონენტის, ურანის გამდიდრების სამუშაოების განახლებამ სერიოზულად შეაშფოთა მთელი მსოფლიო. თეირანის ცალმხრივი ქმედებებით, მძაფრი უკმაყოფილება გამოთქვეს არა მარტო დასავლურმა ქვეყნებმა და ისრაელმა, არამედ ისლამური რესპუბლიკის ტრადიციულმა მოკავშირემ უკანასკნელ წლებში - რუსეთმა. ირანის "ბირთვული დოსიეს" გაერო-ს უშიშროების საბჭოში განხილვა სრულიად რეალური გახდა.

სწორედ ამ საკითხზე ბჭობდნენ ორშაბათს ლონდონში შეკრებილი გაერო-ს უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრი-სახელმწიფოს და გერმანიის წარმომადგენლები. შეხვედრას მოჰყვა სამი სახელმწიფოს, გერმანიის, საფრანგეთის და ბრიტანეთის რეზოლუციის პროექტი, რომლის თანახმად, ისინი აპირებენ უშიშროების საბჭოს წარუდგინონ ირანის ბირთვული პროგრამის საკითხი. ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანახმად, სამი სახელმწიფო რეზოლუციით მიმართავს ბირთვული ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს (მაგატე) მმართველთა საბჭოს საგანგებო სხდომას, 2 თებერვალს.

ლონდონის შეხვედრის მთავარი მიზანი იყო უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრების დაყოლიება, რათა მაგატემ ერთობლივი რეზოლუცია მიიღოს. რუსეთისა და ჩინეთის თანხმობის გარეშე ირანის საკითხის განხილვას არანაირი პერსპექტივა არ აქვს.

აღსანიშნავია, რომ თუ ლონდონში შეხვედრამდე რუსეთიც არ გამორიცხავდა ირანის საკითხის უშიშროების საბჭოზე განხილვის პერსპექტივას, გუშინ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გაცილებით ფრთხილი პოზიცია ეკავა. სერგეი ლავროვი გუშინ ამბობდა, რომ მოლაპარაკებების შესაძლებლობა ჯერ კიდევ არ არის ამოწურული, მით უმეტეს, რომ ყველასთვის ნათელია - უშიშროების საბჭო აუცილებლად დაუწესებს სანქციებს ირანს. **"სანქციები სულაც არ არის საუკეთესო და ერთადერთი გზა პრობლემის გადასაჭრელად,** - განაცხადა რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა, - **ჩვენ გვახსოვს ერაყის წინააღმდეგ სანქციების ისტორია და თუ როგორ დამთავრდა იგი."**

რუსეთისგან განსხვავებით, ჩინეთი წინასწარ აცხადებდა, რომ თეირანის წინააღმდეგ მკაცრი პოზიციის წინააღმდეგია და არ ეთანხმება სანქციების დაწესებას. ოფიციალური პეკინის თქმით, უშიშროების საბჭოში ირანის საკითხის განხილვა კიდევ უფრო გაამწვავებს ვითარებას, რადგანაც საპასუხოდ, თეირანმა შესაძლოა, მაგატე-ს ინსპექტორებს ბირთვული ობიექტების მონახულება საერთოდ აუკრძალოს.

ასე რომ, დიდ სახელმწიფოებს შორის კონსენსუსი ჯერჯერობით არ არსებობს, შესაბამისად, დროში გაიწელება სანქციების დაწესების საკითხიც.

შეგახსენებთ, ირანი ირწმუნება, რომ გამდიდრებული ურანით ისარგებლებს მხოლოდ ენერგეტიკის სფეროში, მოსახლეობის საკეთილდღეოდ. მაგრამ, რახან გამდიდრებული ურანით იარაღის დამზადებაც არის შესაძლებელი, დასავლეთში შიშობენ, რომ ირანმა შესაძლოა, ატომური ბომბის შექმნაც სცადოს. აი, ამ უთანხმოების ფონზე ისევ შეიძინა აქტუალობა ერთმა ძველმა ინიციატივამ.

საქმე ეხება იდეას, შეიქმნას ბირთვული საწვავით მომმარაგებელი ცენტრალური ბანკი - იდეას, რომელიც ჯერ კიდევ 1957 წელს გამოითქვა: ჯერჯერობით, როგორც ცნობილია, უშედეგოდ. მაგრამ შარშან ის მაგატე-ს ხელმძღვანელმა, მოჰამედ ბარადეიმ გაიხსენა.

ცენტრალური ბანკის მიზანი იქნებოდა საბაზრო ფასში ბირთვული საწვავის შეძენა, რის გამოც ქვეყნებს აღარ დასჭირდებოდათ საკუთარ ტერიტორიაზე საწვავის პროდუქცია, ანუ ბირთვულ პროგრამაზე მუშაობა და, შესაბამისად, ვერ შექმნიდნენ ატომურ იარაღს.

*24 საათი*

# ლავროვმა რუსებიც კი დააბნია

პირველი გვერდიდან

ამ ისედაც გაუგებარ განცხადებას ლავროვმა დასძინა: **"უნდა ვიფიქროთ, როგორ მოვაწესროგოთ ეს კონფლიქტი რუსი მშვიდობისმყოფელების გარეშე... მინდა გამოვთქვა იმედი, რომ ათეულობით რუსი მშვიდობისმყოფელის სიცოცხლე, რომლებიც აფხაზეთში და ოსეთში კონფლიქტების მოწესრიგებას შეეწირნენ, ტყუილად გაღებული მსხვერპლი არ არის, და ამ სიტუაციაში ჯანსაღი აზრი გაიმარჯვებს."**

გუშინვე აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა საგანგებო დეკლარაცია, რომლითაც ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო მისიის ფორმატის რაიმე ცვლილებაზე კატეგორიული უარი განაცხადა. ასევე, სოხუმის ხელისუფლება საერთაშირისო თანამეგობრობას სთხოვს, რეაგირება მოახდინოს გალის რაიონში "ქართული ტერორისტული ჯგუფების გააქტიურებაზე".

*24 საათი*

# დაგვიანებით, მაგრამ განახლებული კოდექსით

პირველი გვერდიდან

ცესკო კი ამომრჩეველთა ხელახალ რეგისტრაციას არჩევდა. ანუ ცენტრალური საარჩევნო კომისია არსებულ სიებს არ გამოიყენებს, ამომრჩეველი საარჩევნო უბანზე არჩევნებამდე სამი თვით უნდა დარეგისტრირდეს. როგორც ცესკო-ს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ალექსანდრე ლონღაძე აცხადებს, აღნიშნული მეთოდი სიების ფორმირების პროცესს გააიოლებდა. თუმცა, იურიდიულმა კომიტეტმა ხელახალ რეგისტრაციას არსებული სიების დახვეწა ამჯობინა. **"ამომრჩეველთა სიების დასაზუსტებლად რამდენიმე საშუალებას გამოვიყენებთ. 5 დღით ადრე ამომრჩეველს პირად ბარათებს დავურიგებთ. ამის გარდა, ამომრჩეველთა მონაცემთა ბაზას ორი კომპიუტერული პროგრამა გადაამოწმებს. საბჭოთა პასპორტების მფლობელი ამომრჩევლების რაოდენობაც დაზუსტდება,"** - აცხადებს ლონღაძე.

სიების დახვეწის პარალელურად, ცესკო და "ახალი თაობა - ახალი ინიციატივა" საარჩევნო პროცედურების გამარტივებაზეც მუშაობენ. მომავალ არჩევნებზე საუბნო კომისიებში, 15 წევრის ნაცვლად, 9 წევრი იმუშავებს. საარჩევნო პროცედურებიც 9 ადამიანის შესაძლებლობების შესაბამისად გამარტივდება. გამორიცხული არ არის, საარჩევნო უბნების რაოდენობა გაიზარდოს. თითო უბანი, 2 000-ის ნაცვლად, 1 500 ამომრჩეველს უნდა მოემსახუროს, რადგან 9-კაციანი კომისია 2 000 ამომრჩეველს ვერ გაწვდება. რაც შეეხება საარჩევნო ოლქების რაოდენობას, საუბარი იყო 75 ოლქის 14-მდე შემცირებაზე, მაგრამ როგორც ლონღაძე აცხადებს, ადგილობრივი არჩევნებისთვის ოლქების რაოდენობა იგივე დარჩება.

წლევანდელი ადგილობრივი არჩევნების განახლებული საარჩევნო კოდექსით ჩასატარებლად კი ცესკო ერთი თვის დამატებას ითხოვს. **"ოქტომბრამდე ამომრჩეველთა სიების დაზუსტება გაგვიჭირდება,"** - აცხადებს ლონღაძე. რამდენად გაითვალისწინებს პრეზიდენტი ცენტრალური საარჩევნო კომისიის თხოვნას, ჯერ უცნობია.

# მეორე საერთაშორისო კონფერენცია პეკინში

პირველი გვერდიდან

**"ჩვენ ერთ პლანეტაზე ვცხოვრობთ და ჩვენი ბედ-იღბალი ურთიერთდამოკიდებულია. "ფრინველის გრიპის" ვირუსის არსებობისას არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია, თავი იგრძნოს დაცულად,"** - ამ სიტყვებით გახსნა საერთაშორისო კონფერენცია ჩინეთის ხელისუფლების ვიცე-პრემიერმა ძაო ცუნჰუაიმ.

კონფერენციაში, რომლის საორგანიზაციო ხარჯები ჩინეთმა, ევროკავშირმა და მსოფლიო ბანკმა გაიღეს, მსოფლიოს 90-ზე მეტი ქვეყნისა და 25 საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები მონაწილეობენ, როგორც ექიმები, ასევე ფინანსისტები.

ფორუმის ორგანიზატორებს იმედი აქვთ, რომ "ფრინველის გრიპის" გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლისათვის კონფერენციის მუშაობის დღეებში 1.2 მილიარდი აშშ დოლარის შეგროვება მოხერხდება. მსოფლიო ბანკმა ამ მიზნით უკვე 500 მილიონი აშშ დოლარი გამოყო.

**"ერთი მილიარდი აშშ დოლარი არც თუ ისე დიდი თანხაა იმ დანახარჯებთან შედარებით, რომელიც ეპიდემიის გლობალურად გავრცელებამ შეიძლება გამოიწვიოს. საქმე ხომ ადამიანების სიცოცხლეს შეეხება, რაც ყველაზე ფასეულია,"** - აღნიშნა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის წარმომადგენელმა დევიდ ნავარომ.

როგორც ინიციატორები ირწმუნებიან, შეგროვებული თანხა არ გაიხარჯება ვაქცინის შეძენაზე, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია ამ პრობლემის გადაჭრას სხვა სახსრებით შეეცდება.

წინასწარი შეფასებით, პანდემიის შემთხვევაში დანახარჯებმა ერთი წლის განმავლობაში მსოფლიო მასშტაბით, შესაძლოა, 800 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინოს.

2003 წლიდან აზიის ქვეყნებში "ფრინველის გრიპით" 80-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა. უკანასკნელ ხანს დაავადების აფეთქების კერად თურქეთი იქცა, სადაც სიცოცხლისათვის საშიში დაავადების დიაგნოზი 19 ადამიანს დაუდასტურდა. ოთხი მათგანის სიცოცხლე H5N1 ვირუსმა უკვე შეიწირა. თურქეთის ხელისუფლება ირწმუნება, რომ ყველაფერს აკეთებს საშიში ვირუსის გავრცელების თავიდან აცილებისათვის.

**"ფრინველის გრიპის" ვირუსის წინააღმდეგ ბრძოლისას ჩვენ უპირატესობას ღია პოლიტიკას ვანიჭებთ და მივიღეთ კიდეც პრევენციისთვის აუცილებელი ყველა საშუალება. განხორციელებულმა ღონისძიებებმა მინიმუმამდე უნდა დაიყვანოს დაავადების სამედიცინო და სოციალური შედეგები. სამინისტროებში შექმნილია კრიზისულ ვითარებასთან ბრძოლის შტაბები. გარდა ამისა, უკვე ჩამოვაყალიბეთ "ფრინველის გრიპთან" ბრძოლის ეროვნული საკოორდინაციო ცენტრი,"** - განაცხადა თურქეთის პრემიერ-მინისტრმა რეჯეპ ტაიპ ერდოგანმა.



*საფრთხე უკვე დიდი ხანია, მხოლოდ აზიის ფარგლებს გასცდა.*

თურქეთის მთავრობის მეთაურის თქმით, H5N1 ვირუსის არსებობა ქვეყნის 81 პროვინციიდან 21 პროვინციაშია დადასტურებული, ხოლო 23 პროვინციაში ჯერჯერობით "საეჭვო შემთხვევებია" გამოვლენილი. დაავადების ლოკალიზებისათვის 14 პროვინციაში განახლებულია შესაბამისი ლაბორატორიები, სახელმწიფოს უცხოეთის ქვეყნებში შეკვეთა აქვს მიცემული ერთ მილიონ შეკვრა პრეპარატზე სახელად "ტამი ფლუ", რომელიც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ აღიარებულია "ფრინველის გრიპის" წინააღმდეგ ყველაზე ეფექტურ საშუალებად. აქედან 100 000 შეკვრა პრეპარატი უკვე ჩატანილია თურქეთში.

სპეციალისტების მტკიცებით, "ფრინველის გრიპის" ვირუსით ის ადამიანები იღუპებიან, რომლებსაც უშუალო კონტაქტი ჰქონდათ ცოცხალ ფრინველებთან. თუმცა, ექსპერტები დღემდე შიშობენ, რომ ვირუსმა არ განიცადოს მუტაცია და ადამიანიდან ადამიანზე არ გავრცელდეს, რაც გარდაუვალს გახდის პანდემიის საფრთხეს. "ფრინველის გრიპთან" ბრძოლის მიზნით ჩინეთში 22 მილიონზე მეტი შინაური ფრინველი დახოცეს.

ამის შესახებ ნათქვამია ჩინეთის სოფლის მეურნეობის, ჯანდაცვის, საგარეო საქმეთა და ფინანსთა სამინისტროების საინფორმაციო ბიულეტენში, რომელიც პეკინში მიმდინარე საერთაშორისო კონფერენციაზე პირველივე დღეს გავრცელდა.

ჩინეთის ხელისუფლების მონაცემებით, 2005 წლის იანვრიდან დეკემბრამდე ქვეყანაში მაღალპათოგენური "ფრინველის გრიპის" 32 კერა დაფიქსირდა. დაავადების აფეთქება ჩინეთის 13 პროვინციაში აღინიშნა.

დაბოლოს, როგორც გაერო-ს წარმომადგენლები აღნიშნავენ, თუ დღემდე ზოგიერთ ქვეყანაში გამიზნულად იფარებოდა "ფრინველის გრიპის" ვირუსით დაავადების შემთხვევები, ეს არასწორი დამოკიდებულება ნელ-ნელა იფანტება, რადგან საფრთხე უკვე დიდი ხანია, მხოლოდ აზიის ფარგლებს გასცდა.

**"მსოფლიო უკვე იწყებს იმის გაცნობიერებას, რომ დაავადების ეს ტიპი ასე მარტივად არ ჩაივლის. ბევრს ეგონა, რომ "ფრინველის გრიპი" მხოლოდ აზიის პრობლემა იყო. თანდათანობით ხალხი გამოღვიძებას იწყებს,"** - თქვა მსოფლიო ბანკის ერთ-ერთმა თანამშრომელმა იურგენ ფოგელემ საერთაშორისო კონფერენციაზე.

*24 საათი*

# უცნობი თავისუფლება

FM უცნობი 92.0

**გადაცემის სტუმარია დიდი ლიახვის ხეობის მაჟორიტარი დეპუტატი გურამ ვახტანგაშვილი**

**ალექსანდრე ელისაშვილი: ბატონო გურამ, შემოვლითი გზით ადიხართ დიდი ლიახვის ხეობაში, თუ ცხინვალის გავლით?**

**გურამ ვახტანგაშვილი:** 2004 წლის მოვლენებამდე ცხინვალით დავდიოდი, ახლა კი შემოვლითი გზით დავდივარ.

**ა.ე. საშიშია ქართველისთვის ცხინვალში შესვლა?**

**გ.ვ.** ახლა საშიშია. ძირითადად, ისინი დიდი ლიახვის ხეობის მოსახლეობას არ ერჩიან. როგორც დიდი, ისე პატარა ლიახვის ხეობის მოსახლეობა ძალიან ვაჟკაცი ხალხია. თექვსმეტი წელია, ეს კონფლიქტი მიმდინარეობს და არც ერთ მათგანს ხეობა არ მიუტოვებია. ბოლო კონფლიქტის დროს, როდესაც სიტუაცია ძალიან დაიძაბა, ქართულმა მხარემ კონფლიქტის ზონაში მცხოვრები მოსახლეობის დასასვენებლად წასვლა უზრუნველყო, ქალებმა შვილები ჩაიყვანეს და იმ საღამოსვე თავიანთ მეუღლეებს დაუბრუნდნენ. იმ დროს 30-მდე სახლი და ერთი სკოლა დაინგრა, თექვსმეტი ახალგაზრდა ჯარისკაცი და თამარაშენის ერთი მკვიდრი მოგვიკლეს.

**ა.ე. დანგრეული სახლები აუშენეს?**

**გ.ვ.** ქრთულმა მხარემ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ დანგრეული სახლები აღედგინა. ზოგს სახლი აუშენა, ზოგსაც კომპენსაციის სახით ფული მისცა.

**ა.ე. ტელეკომპანია "ალანიის" შესახებ რა იცით?**

**გ.ვ.** ბევრი არაფერი ვიცი. ის ვიცი, რომ ხეობებში კარგად აჩვენებს.

**ა.ე. ოსები რამდენად უყურებენ ტელეკომპანია "ალანიას"?**

**გ.ვ.** რამდენადაც ვიცი, ისინი ამ ტელევიზიის გაკეთებას ქართველებს აბრალებენ, რომ კოკოითის საწინააღმდეგო პიარი გაატარონო. ამ ტელევიზიის წამყვანები ოსი ეროვნების ახალგაზრდები არიან, რომლებიც თავიანთ აზრს საკმაოდ მკვეთრად აფიქსირებენ, რაც მისასალმებელი ფაქტია.

**ა.ე. ეს ტელეკომპანია რამდენად რეიტინგულია?**

**გ.ვ.** გამოკითხვის ჩატარება რთულია. თუმცა მე რამდენადაც ვიცი, ოსების კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრებნი საქართველოში მოქმედ მასმედიას ეცნობიან. ისინი რუსულ პროგრამებს ისე არ უყურებენ, როგორც ქართულ არხებს.

**ა.ე. ცხინვალის ტელევიზია თუ იჭერს ქართულ სოფლებში და რას გადმოცემენ?**

**გ.ვ.** კი, აჩვენებს. ცხინვალის ტელევიზიაში, მთელი დღე, კოკოითის მიერ მოსკოვში ჩატარებული პრესკონფერენციის კასეტას ატრიალებენ.

**ა.ე. ჯემალ ქარქუსოვმა და მისმა ძმამ სულ ახლახან დააღწიეს თავი ცხინვალის ციხეს. როგორც ამბობენ, ამაში ჩართული იყო ქართული სპეცსამსახურები. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ ამ სპეცოპერაციის შესახებ?**

**გ.ვ.** ჯემალ ქარქუსოვს ძალიან კარგად ვიცნობ. მე რომ ცხინვალში ვმუშაობდი, ის "გაი"-ში მუშაობდა. შემდეგ ჯავის ადმინისტრაციის უფროსად დანიშნეს, ამის მერე ცხინვალის შინაგან საქმეთა მინისტრად გადაიყვანეს. 2004 წლის მოვლენების დროს, ცხინვალის მხრიდან ქარქუსოვი ერთ-ერთ სპეცოპერაციას ხელმძღვანელობდა, რომელიც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ დამთავრდა. ქართულმა მხარემ ორი, "ბმპ-ს" ტიპის ჯავშანტექნიკა წამოიყვანა. ამის შემდეგ, კოკოითსა და ქარქუსოვს უთანხმოება მოუვიდათ. კოკოითი მას იმ ორი ჯავშანმანქანის დაბრუნებას სთხოვდა. საბოლოოდ ქარქუსოვი ოსების მტრად გამოაცხადეს და დაიჭირეს. ის თავის ძმასთან ერთად ცხინვალის ციხიდან გამოიქცა და, ქართველი სპეცსამსახურების დახმარებით, შემოვლითი გზით ერედვში გადმოიყვანეს.

**მსმენელი: ბატონო გურამ, ცხინვალის ციხეებში ქართველი პატიმრები თუ იმყოფებიან და რა პირობებში არიან?**

**გ.ვ.** ცხინვალში ერთი ციხეა. ჩემი ინფორმაციით, დღეისთვის იქ 14-მდე ქართველი პატიმარი იმყოფება. ისინი სასჯელს ნარკოტიკების რეალიზაციისთვის იხდიან.

# უკანონო მოსმენა უშედეგო აღმოჩნდა

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის საიდუმლო ბრძანებულება, რომელიც ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს მოსახლეობის სატელეფონო საუბრების მოსმენისა და ელექტრონული ფოსტის შემოწმების უფლებას აძლევდა (სასამართლოს სანქციის გარეშე), როგორც ირკვევა, არა მარტო არაკონსტიტუციური იყო, არამედ სრულიად უშედეგოც აღმოჩნდა, თანაც გამოძიების ფედერალური ბიუროს წარმომადგენლების დროის უაზრო ხარჯვა გამოიწვია.

როგორც გაზეთი "New York Times" იუწყება, 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ, ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს თანამშრომლები აქტიურად შეუდგნენ ჯორჯ ბუშის ამ საიდუმლო დადგენილების შესრულებას, რისთვისაც ასეულობით აგენტი დასაქმდა. თუმცა, უშედეგოდ - სატელეფონო და საფოსტო ყუთები მხოლოდ რიგითი ამერიკელების საკუთრებაში იყო და რაიმე საეჭვო კავშირი არ დადგენილა.

სატელეფონო საუბრების მოსმენის შესახებ მიღებულ დადგენილებას ამერიკის პრეზიდენტმა "ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სასიცოცხლო მნიშვნელობის ღონისძიება" უწოდა, ხოლო ვიცე-პრეზიდენტმა, დიკ ჩეინმა იგი "ათასობით სიცოცხლის" გადარჩენის კამპანიად შეაფასა.

განსხვავებული პოზიცია გააჩნიათ ყოფილ და მოქმედ სამართალდამცავებს. კერძოდ, მათი თქმით, ამ კამპანიას მაშინ ექნებოდა ეფექტი, როცა სპეცსამსახურების ოპერატიული ინფორმაციის მიხედვით შედგებოდა მიზანმიმართული სატელეფონო მოსმენა. გაზეთის ინფორმაციით, ერთ-ერთი რესპონდენტის ვინაობის დადგენის დროს გაირკვა, რომ ტელეფონი სკოლის მასწავლებელს ეკუთვნოდა და მას საერთაშორისო ტერორიზმთან კავშირი არ ჰქონია.

შეგახსენებთ, პრეზიდენტის საიდუმლო დადგენილების შესახებ პირველად ინფორმაცია 2005 წლის 15 დეკემბერს გახმაურდა. 16 იანვარს კი სენატის კანონმდებლობის კომიტეტის ხელმძღვანელმა, არლენ სპექტორმა განაცხადა, რომ ამ ქმედების გამო ბუშის იმპიჩმენტის საკითხი გამორიცხული არ არის. "თებერვალში, სენატის სხდომებზე, თუ დადგინდა, რომ პრეზიდენტმა კანონი დაარღვია, იმპიჩმენტი დაემუქრება," - განმარტა არლენ სპექტორმა.

*ლენტა.რუ*

## ორი სიტყვით

**ახლო აღმოსავლეთი.** პალესტინის სააგენტო "ვაფა"-ს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ისრაელის შეიარაღებულმა ძალებმა გუშინ მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე, ტულკარმში მომხდარი შეტაკებისას პალესტინის რადიკალური მოძრაობა "ჰამას"-ის ფრთის "იედდინ ალ-ქასამის ბრიგადების" ლიდერი მაჰმუდ სალაჰ ედდინ იადი გაანადგურეს.

ისრაელის არმიის ჯარისკაცებმა დაზვერვის თანამშრომლებთან ერთად ქალაქს ალყა გამთენიისას შემოარტყეს, გაანადგურეს საცხოვრებელი სახლები და დააკავეს რამდენიმე პალესტინელი. გარდა ამისა, როგორც პალესტინის სააგენტო იუწყება, ორმხრივი სროლისას ისრაელის არმიის ერთი ჯარისკაციც დაიჭრა. **რიანოვოსტი**

■ ■ ■

**აშშ.** როგორც აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელი ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებში ჰენრი კრამპტონი ირწმუნება, ოსამა ბინ ლადენი თავის თანაშემწესთან აიმან ალ-ზავაჰირისთან ერთად ცოცხალი და უვნებელია და თავს ისინი კვლავ ავღანეთისა და პაკისტანის საზღვარზე მთებს აფარებენ. კრამპტონის თქმით, "ალ ქაიდა" და მისი შვილობილი დაჯგუფებები ახალ ტერაქტებს აშშ-სა და ევროპაში, კერძოდ კი, დიდ ბრიტანეთში გეგმავენ.

"მართალია, ბინ ლადენი მორიგი მიმართვით დაახლოებით ერთი წელია, რაც არ გამოსულა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იგი უკვე დაღუპულია, რადგან დაზვერვის სამსახურები ამის შესახებ ინფორმაციას არ ფლობენ. პირველი ტერორისტის სიჩუმე დღემდე, შესაძლოა, საკუთარ უსაფრთხოებაზე ზრუნვით უფრო იყო განპირობებული," - ნათქვამი იყო სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის ინტერვიუში "ბი-ბი-სი"-სთან. **24 საათი**

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA
დაბალი ტარიფები საქალაქთაშორისო და მობილურ საუბრებზე
დარეკეთ ქალაქის ტელეფონიდან მაგთიზე და ჯეოსელზე 25 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება თბილისის მასშტაბით)
საქართველოს რეგიონებში 12 თეთრად დროის
(ტარიფი ვრცელდება საქართველოს მასშტაბით)
აკრეფვის წესი:
მობილურ ტელეფონზე დასარეკად
8-100+ მობილური ოპერატორის კოდი (99,98,95;77,93,55)
+ აბონენტის ნომერი
საქართველოს რეგიონებში
8-100+ ქალაქის კოდი+ აბონენტის ნომერი
წამობრივი აღრიცხვა
8-100
ისაუბრეთ მეტი, გადაიხადეთ ნაკლები
რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

Kuzanov Clinic კუზანოვის კლინიკა
1. რინოპლასტიკა
2. მკერდის კორექცია
3. მკერდის აღდგენითი ოპერაციები მასტექტომიის შემდეგ
4. მუცლის პლასტიკა
5. სახის ცირკულარული დაჭიმვა
6. ლიპოსაქცია
7. კელოიდური ნაწიბურების მოცილება
8. დამწვრობისშემდგომი კონტრაქტურების პლასტიკა
9. შეძენილი და თანდაყოლილი დეფექტების კორექცია
10. პერიფერიული ნერვების მიკროქირურგიული აღდგენა
11. ვარიკოზული ვენების ამოკვეთა
12. ადენოიდებისა და პოლიპების ენდოსკოპიური ამოკვეთა
13. მხედველობის ქირურგიული კორექცია
14. ოპერაციები მენისკებზე
თქვენი არჩევანი - ჩვენი პროფესიონალიზმია
გამსახურდიას გამზ. N6
ტელ: 424-005, 8(99) 703-703
www.kuzanov.com

### მოკლედ

## საგარეო უწყება გალში სამოქალაქო პოლიციის კონტინგენტის შეყვანას მოითხოვს

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ გალის რაიონში შექმნილ მძიმე კრიმინოგენულ ვითარებასთან დაკავშირებით საერთაშორისო ორგანიზაციებსა და კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში მონაწილე მხარეებს განცხადებით მიმართა და გააქტიურებისკენ კიდევ ერთხელ მოუწოდა. **"გალის რაიონში ვითარება შემაშფოთებელ ხასიათს იღებს. იგი ვერ კონტროლდება იქ განლაგებული რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტის მიერ, რაც განაპირობებს ადგილობრივი მოსახლეობის ელემენტარული უფლებების სისტემატურად დარღვევის შესაძლებლობებს და სერიოზულ საფრთხეს უქმნის მათ სიცოცხლეს",** - ნათქვამია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გუშინ გავრცელებულ განცხადებაში.

საგარეო უწყებაში აცხადებენ, რომ ბოლო დღეებში გალის რაიონში კიდევ უფრო დაიძაბა კრიმინოგენური ვითარება. თითქმის ყოველდღიურად ადგილი აქვს ამ რაიონის ადგილობრივ მაცხოვრებლებზე ყაჩაღური თავდასხმის, ძარცვის, გამოსასყიდი თანხის მიღების მიზნით, მშვიდობიანი მოსახლეობის გატაცების ფაქტებს. მაგალითისთვის, დასახელებულია 13 იანვარს, საღამოს 9 საათზე უცნობი ხუთკაციანი შეიარაღებული ჯგუფის თავდასხმა სოფელ თაგილონში მცხოვრებ ვალერი გაბისონიას ოჯახზე.

როგორც ცნობილია, თავდამსხმელებმა ოჯახის უფროსი ვალერი გაბისონია უცნობი მიმართულებით გაიტაცეს, ხოლო ოჯახის სხვა წევრებს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. მოგვიანებით კრიმინალებმა, გამოსასყიდი თანხის სახით, 50 ათასი დოლარი მოითხოვეს. საგარეო უწყების ცნობით, ამავე ჯგუფის მიერ 15 იანვარს, დაახლოებით, დღის 4 საათზე სოფელ ნაბაკევში სამარშრუტო ავტობუსზე განხორციელდა მორიგი ყაჩაღური თავდასხმა, რის შედეგადაც გატაცებულია ავტობუსში მყოფი მგზავრი, სოფელ განახლებაში მცხოვრები არქანია. ამ ეტაპზე მისი ადგილსამყოფელი უცნობია.

**"ამგვარი მდგომარეობის შენარჩუნებამ, შესაძლოა, გამოუსწორებელ შედეგებამდე მიგვიყვანოს და აუცილებლად მიგვაჩნია გადამჭრელი ზომების მიღება ვითარების გაუმჯობესების მიზნით - კერძოდ, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში მონაწილე ქვეყნების ძალისხმევის გააქტიურება, გალის რაიონში გაეროს საპოლიციო კონტინგენტისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისის დროულად ამოქმედება, ამ რეგიონში ადამიანის უფლებათა დაცვის ეფექტური საერთაშორისო მონიტორინგის განხორციელება",** - აღნიშნულია განცხადებაში. **მედიანიუსი**

## საპყრობილეში პატიმარს სცემეს

საქართველოს სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა თბილისის N1 საპყრობილეში ნაცემი მსჯავრდებული გოჩა ფაჩულია მოინახულა. სოზარ სუბარი სასჯელაღსრულებითი დაწესებულებების დაცვის თანამშრომლების მიერ პატიმრის ფიზიკურ შეურაცხყოფას აპროტესტებს და გამოძიების დაწყებას ითხოვს. გოჩა ფაჩულიას ციხის თანამშრომლებმა პაემნისთვის გათვალისწინებული დროის გადამეტების გამო სცემეს. "პატიმარი ფაჩულია სასტიკად არის ნაცემი. სხეულის ყველა ნაწილზე დაზიანებები აქვს მიყენებული, რის გამოც, ის სასწრაფოდ არის გადაყვანილი ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში, სადაც პატიმრის სამედიცინო შემოწმება უნდა მოხდეს, რათა უფრო მძიმე შედეგი არ მივიღოთ. ამ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება უნდა დაიწყოს. პატიმრისადმი ასე სასტიკად მოპყრობა არც ერთ რეჟიმს არ ეპატიება", - განაცხადა სოზარ სუბარმა. **24 საათი**

## ეროვნული გვარდიის მაღალჩინოსანი ქრთამის აღებისთვის დააკავეს

ქრთამის აღების ბრალდებით, შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დაცვის დეპარტამენტისა და სამხედრო პოლიციის თანამშრომლებმა სამშაბათს ეროვნული გვარდიის ისანი-სამგორის რაიონის სამობილიზაციო შტაბის უფროსი ოთარ ბუტიკაშვილი დააკავეს. როგორც ჟურნალისტებს სამხედრო პოლიციის უფროსმა ალექსანდრე სუხიტაშვილმა აცნობა, ბუტიკაშვილმა ერთ-ერთ მოქალაქეს, ყალბი სამხედრო ბილეთის დამზადების სანაცვლოდ, 400 აშშ დოლარი გამოსძალა. ქრთამის სახით გამორთმეული ფულის ნაწილი პოლიციამ ბუტიკაშვილის პირადი ჩხრეკისას ამოიღო, ნაწილი კი - მისი ბინიდან. ეჭვმიტანილის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება. **პრაიმ-ნიუსი**

### ორი სიტყვით

**ზუგდიდი.** გალის რაიონში გუშინ, გამთენიისას მორიგი ყაჩაღური თავდასხმა მოხდა. დაუდგენელი შეიარაღებული პირები თავს დაესხნენ სოფელ ქვემო ბარღებში მცხოვრებ მურმან ცობეხიას ოჯახს. მათ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს ოჯახის ოთხივე წევრს, სახლიდან გაიტანეს საყოფაცხოვრებო ნივთები, ოქროულობა და რამდენიმე ათასი ლარი და ოჩამჩირის მიმართულებით მიიმალნენ. როგორც გალის რაიონის გამგეობაში აცხადებენ, რაიონის ტერიტორიაზე კარგად ორგანიზებული შეიარაღებული ჯგუფი მოქმედებს, რომელიც უკონტროლო ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილდება. გამგეობაში ვარაუდობენ, რომ კრიმინალურ ჯგუფში გაერთიანებულნი არიან აფხაზი ეროვნების მოქალაქეებიც და ქართველებიც. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტისა და პატიმართა შეწყალების მუდმივმოქმედი სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარემ ელენე თევდორაძემ 71 პატიმრის შეწყალების შუამდგომლობას მოაწერა ხელი. თევდორაძემ შუამდგომლობა პრეზიდენტს ხელმოსაწერად გუშინ წარუდგინა. თევდორაძის თქმით, შეწყალების მუდმივმოქმედი კომისია ამჯერადაც იმ პატიმრებს უწევს რეკომენდაციას, რომელთაც განსაკუთრებით მძიმე დანაშაული არ აქვთ ჩადენილი, პირველად არიან მსჯავრდებულები ან მოხდილი აქვთ სასჯელის ნახევარი. იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტი შუამდგომლობას დააკმაყოფილებს, 55 პატიმარს ციხიდან გაათავისუფლებენ, ხოლო დანარჩენებს სასჯელის ვადა შეუმცირდებათ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** შს სამინისტროს ინფორმაციით, პოლიციის მთავარი სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებროს თანამშრომელბმა ე.წ. კრიმინალური ავტორიტეტი, თბილისში მცხოვრები 26 წლის შოთა ჩაჩხიანი დააკავეს. ჩაჩხიანისგან ამოღებულია "ლლამას" სისტემის პისტოლეტი და ნარკოტიკული ნივთიერება 0, 17გრამი "ჰეროინი". აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით აღძრული საქმის გამოძიებას სისხლის საამრთლის სამძებრო სამმართველო აწარმოებს. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცველებმა ინსტიტუტ "მესის" ფილიალის დაყაჩაღებაში ერთ-ერთ ეჭვმიტანილს მიაგნეს. როგორც შს სამინისტროში განაცხადეს, სამართალდამცავებმა გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად 21 წლის ლევან ფორჩხიძე დააკავეს. პოლიციის ინფორმაციით, რამდენიმე დღის წინ ალმაშენებლის გამზირზე, მოსკოვის ეკონომიკის ინსტიტუტის ფილიალში ვიცე-პრეზიდენტ ნანა რიჟამაძის სამუშაო ოთახში სამი პირი შეიჭრა, რომლებიც ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით რიჟამაძეს ფულს სძალავდნენ. წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ ბოროტმოქმედები შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. ამჟამად ტარდება ღონისძიებები სხვა პირთა დადგენა-დაკავების მიზნით. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** იუსტიციის სასწავლო ცენტრში იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლებისთვის ტრენინგი მიმდინარეობს. როგორც იუსტიციის სამინისტროში განაცხადეს, სასწავლო ცენტრში გუშინ იუსტიციის სამინისტროს საკადრო საკითხთა დეპარტამენტისა და გენერალური ინსპექციის თანამშრომელთათვის ადმინისტრაციულ სამართალში კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგი გაიხსნა. ერთკვირიანი სწავლების ფარგლებში, იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლებთან ექსპერტები ადმინისტრაციული სამართლის იმ საკითხებზე ისაუბრებენ, რომლის ცოდნა გენერალური ინსპექციისა და საკადრო საკითხთა დეპარტამენტის თანამშრომლებს, სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე, ესაჭიროებათ. ტრენინგის მონაწილეებს სწავლების წარმატებით დასრულების შემდეგ შესაბამისი სერტიფიკატები გადაეცემათ. **ინტერპრესნიუსი**

ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

**თქვენ ისევ სჭირდებით ქვეყანას**

"უმუშევართა გადამზადებისა და თვითდასაქმების პროგრამის" ფარგლებში ფონდი "ღია საზოგადოება საქართველო" ატარებს პროფესიული გადამზადების უფასო კურსებს.

პროექტით გათვალისწინებულია სპეციალური სწავლების კურსები **კერძო ბიზნესის** წამოწყების, მისი წარმატებული განვითარებისა და **არასამთავრობო ორგანიზაციების** ფუნქციონირებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების შესაძენად.

პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საჯარო სამსახურებიდან გათავისუფლებულ 28-დან 50 წლამდე ასაკის მოქალაქეებს.

კურსის დამთავრებისას ყველა მონაწილეს გადაეცემა შესაბამისი სერტიფიკატი.

წარმატებულ კურსდამთავრებულებს ფონდი ხელს შეუწყობს გრანტებისა და კრედიტების მოძიებაში.

სწავლების კურსებს ახორციელებენ ორგანიზაციები **CTC** (კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი) და **ESM თბილისი**(მართვის ევროპული სკოლა).

სწავლების ხანგრძლივობაა 6 თვე

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ CV (ავტობიოგრაფია) და შრომის წიგნაკის ასლი შემდეგ მისამართზე:

ქ. თბილისი, ჟაზბების 34, ნაკვეთი III

საბუთების მიიღება 2006 წლის 5 თებერვლამდე

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ ტელეფონით: 91 59 16

ეწვიეთ ვებგვერდს: www.osgf.ge

ESM
ctc Empowering People for Change

# სასჯელაღსრულების სისტემის სამედიცინო ნაწილი ჯანდაცვის სამინისტროში გადადის

სასჯელაღსრულების სისტემის სამედიცინო ნაწილის ჯანდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში ეტაპობრივად გადასვლის პროცესი 1 სექტემბერს დასრულდება.

გუშინ იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში საქართველოს იუსტიციის მინისტრმა გია ქავთარაძემ და ჯანდაცვის მინისტრმა ლადო ჭიპაშვილმა ხელი მოაწერეს ერთობლივ ბრძანებას, რომლის თანახმად, სასჯელაღსრულების სისტემის სამედიცინო ნაწილის ჯანდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში ეტაპობრივად გადასვლის პროცედურაა განსაზღვრული. იუსტიციის მინისტრმა გია ქავთარაძემ ერთობლივ დოკუმენტზე ხელმოწერას სასაჯელაღსრულების სისტემის რეფორმირების პროცესში უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი უწოდა.

**"სამკურნალო დაწესებულების გადაცემით ჯანდაცვის სამინისტროს უდიდესი ტვირთი ეკისრება. თუმცა, აღნიშნული გადაწყვეტილებით პატიმართა მკურნალობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება",** - განაცხადა ქავთარაძემ.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ლადო ჭიპაშვილის თქმით, მიმდინარე წლის 1 სექტემბერს სასჯელაღსრულების სისტემის სამედიცინო ნაწილის ჯანდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადასვლისთვის ყველაფერი მზად იქნება.

მისივე განცხადებით, ჯანდაცვისა და იუსტიციის მინისტრებს შორის მიღწეული შეთანხმების თანახმად, თბილისის N5 საავადმყოფოში სპეციალურად დაცული ფლიგელი გამოიყო, სადაც სამკურნალოდ მხოლოდ მძიმე ავადმყოფებს გადაიყვანენ. მათ მკურნალობას ჯანდაცვის სამინისტრო თავის თავზე აიღებს, ხოლო პატიმრების უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი იუსტიციის სამინისტრო იქნება. ჭიპაშვილი პირობას იძლევა, რომ ავადმყოფი პატიმარი იმავე პირობებში იქნება, როგორც ჩვეულებრივი ავადმყოფი მოქალაქე.



*მინისტრებმა გუშინ ხელი მოაწერეს ერთობლივ ბრძანებას.*

როგორც ჯანდაცვის მინისტრმა განმარტა, პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში დასაქმებული მედპერსონალი სამოქალაქო საავადმყოფოებში მუშაობის გასაგრძელებლად კონკურსს გაივლის.

გარდამავალ პერიოდში კი შეიქმნება ექიმთა კომისია, რომელსაც ერთობლივად გააკონტროლებენ იუსტიციისა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროები. ექიმთა კომისიას თავმჯდომარე უხელმძღვანელებს და იგი მიიღებს პატიმართა ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებულ ყველა გადაწყვეტილებას. კომისიაში 17 სპეციალობის 37 ექიმი შევა.

იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში 270-მდე პატიმარი იმყოფება.

*24 საათი*

# ცვლილებები და უცვლელი პრობლემები სასჯელაღსრულების დაწესებულებებში

პირველი გვერდიდან

საკადრო ცვლილებები, შესაძლოა, ქუთაისის საპყრობილის უფროსის პოსტზეც განხორციელდეს, რადგან, გავრცელებული ინფორმაციით, ამჟამინდელ უფროსს შოთა ტორაძეს იუსტიციის სამინისტროში უპირებენ დაწინაურებას.

ქუთაისის N2 საპყრობილე დღემდე საგანგებო რეჟიმის პირობებში ცხოვრობს, მიუხედავად იმისა, რომ პატიმრებმა სპეცოპერაციების შედეგად მიყენებული ტრამვებიც მოიშუშეს და შიმშილობაც შეწყვიტეს. საგანგებო რეჟიმის დროს გამოცხადებული აკრძალვა ადვოკატებისა და საპყრობილის საზოგადოებრივი კონტროლის საბჭოს წევრების ციხეში შეშვებასთან დაკავშირებით მოიხსნა. საზოგადოებრივი კონტროლის საბჭოს წევრებს ქუთაისის N2 საპყრობილის ადმინისტრაციამ პატიმრების მონახულების უფლება ორი დღის წინ მისცა, თუმცა პატიმრების მდგომარეობის თაობაზე საბჭოს წევრებს კომენტარები დღემდე არ გაუკეთებიათ. საპყრობილეში შესვლა კვლავაც ეკრძალებათ მედია-საშუალებების წარმომადგენლებს.

ქუთაისის ციხეში, ისევე როგორც სასჯელაღსრულების სხვა დაწესებულებებში მკაცრი შეზღუდვები დაწესდა ამანათების გადაცემასთან დაკავშირებით. ციხის ადმინისტრაციამ იმ ნივთების ჩამონათვალი გამოაქვეყნა, რომლებიც შეიძლება ამანათის სახით შეიგზავნოს ციხეში. განსაკუთრებით მწირი აღმოჩნდა საკვები პროდუქტების ჩამონათვალი.

ქუთაისის N2 საპყრობილეში პატიმრების ეტაპირების პროცესი ამჟამად უხმაუროდ მიმდინარეობს. ორკვირიანი ბუნტი შეწყვიტეს უკვე ეტაპირებულმა განსასჯელებმაც. თუმცა, ხმაური და პროტესტი ქუთაისის საპყრობილეში, შესაძლოა, ახლა თანამშრომლების მხრიდან დაიწყოს. უკმაყოფილებას დაბალი ანაზღაურების გამო ციხის თანამშრომლები ჯერჯერობით მხოლოდ პირად საუბრებში გამოთქვამენ. ქუთაისის საპყრობილის 300 თანამშრომელი გასული წლის ზაფხულზე ორეტაპიანი კონკურსის საფუძველზე შეარჩიეს, რის შემდეგაც მათ "ეუთო-სა" და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლების მიერ ჩატარებული ერთთვიანი ტრენინგ-კურსი გაიარეს. საპყრობილის თანამშრომლებს სამინისტროს ხელმძღვანელობა მაღალ ანაზღაურებას (150-დან 950 ლარამდე) ჯერ კიდევ კონკურსამდე დაჰპირდა. თანამშრომლების თქმით, თუ იანვრის ბოლოს ისინი გაზრდილ ხელფასებს არ მიიღებენ, პროტესტს უკვე ხმამაღლა გამოხატავენ.

# ელენე თევდორაძე საპატიმროებში დაწესებული შეზღუდვების წინააღმდეგია

ციხეებში ამანათების შეგზავნის პროცედურის გამკაცრებამ ადვოკატთა და პატიმართა ოჯახის წევრების უკმაყოფილება კიდევ ერთხელ გამოიწვია. ციხეებში დაწესებული ახალი შეზღუდვების წინააღმდეგია პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძეც.

**"ერთ-ერთი ადვოკატის განცხადებით, იგი პატიმრისთვის ფანქრისა და ბლოკნოტის შეგზავნის გამო დააჯარიმეს. აღნიშნულ ინფორმაციას გადავამოწმებ, მინისტრისგან აკრძალული ნივთების კონკრეტულ სიას გამოვითხოვ, მიმდინარე კვირაში საპატიმროებს მოვინახულებ და ამანათების შეგზავნის აკრძალვასთან დაკავშირებით კონკრეტულ კომენტარს მოგვიანებით გავაკეთებ,** - განაცხადა ელენე თევდორაძემ, რომლის ინფორმაციით, მას პატიმრები დაუკავშირდნენ და შეატყობინეს, რომ საპყრობილედან ამოღებულია ტელევიზორები და რადიომიმღებები.

იუსტიციის მინისტრის გიორგი ქავთარაძის განცხადებით, ციხეებში სხვადასხვა ნივთის შეგზავნის აკრძალვა 1999 წლით თარიღდება, ამჟამად კი ამ ნივთების შეტანაზე სამართლებრივი პასუხისმგებლობა დგება. მისი თქმით, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში აკრძალული ნივთების ნუსხა ყოველთვის არსებობდა და იარსებებს.

იუსტიციის მინისტრსა და ელენე თევდორაძეს შორის ადამიანის უფლებების დამცველი პარლამენტარის ინიციატივით გუშინ გამართული შეხვედრის მიზეზი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობის მიერ შაბათს მიღებული გადაწყვეტილება გახდა, რომლის თანახმადაც, საპატიმრო დაწესებულებებიდან ტელევიზორებისა და რადიომიმღებების ამოღება დაიწყო. ამავე გადაწყვეტილებით შეიზღუდა საამანათო ნივთების ნუსხაც.

ელენე თევდორაძისა და იუსტიციის მინისტრის შეხვედრა შეთანხმებით დასრულდა. **"შეხვედრა ძალზე კონსტრუქციულ გარემოში ჩატარდა. მინისტრი დამეთანხმა, რომ სანამ საქართველოში ახალი საპყრობილეები და კოლონიები აშენდება, მანამდე ძველ საპატიმროებში მყოფ ადამიანებს ელემენტარული პირობები მაინც უნდა შევუქმნათ. დარწმუნებული ვარ, რომ მინისტრი ყველაფერს გააკეთებს, რათა საპატიმროებში მსჯავრდებულთა უფლებების დარღვევა მინიმუმამდე შემცირდეს. თუ პატიმრებისგან ვითხოვთ კანონმორჩილებას, მაშინ ჩვენც უნდა შევასრულოთ ის მოთხოვნები, რაც კანონში გვიწერია. ციხიდან გამოსულმა ადამიანმა ის მაინც უნდა იცოდეს, რა ხდება დანარჩენ სამყაროში, რათა მასთან ადაპტაცია შეძლოს",** - გიორგი ქავთარაძესთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა ელენე თევდორაძემ, რომლის თქმითაც, იუსტიციის მინისტრმა არ დაადასტურა ინფორმაცია, თითქოს საპატიმროებიდან მასობრივად ამოიღეს ტელევიზორები და ტელეფონები. **"მინისტრი შემპირდა, რომ გადაამოწმებდა ინფორმაციას საპატიმროებიდან ტელევიზორების და ტელეფონების ამოღების თაობაზე. ის, ასევე, შემპირდა, რომ პატიმრებს ტელევიზორის ყურებისა და ტელეფონით საუბრის პრობლემა არ ექნებათ",** - ამბობს თევდორაძე.

# იუსტიციის სამინისტროში ნორმატიული აქტების რაოდენობა გაიზარდა

იუსტიციის სამინისტროს ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში 2005 წელს 6567 ნორმატიული აქტი დარეგისტრირდა, მათ შორის - 2092 კანონი, საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება, პრეზიდენტის ბრძანებულება და განკარგულება, მთავრობის დადგენილება და საუწყებო ნორმატიული აქტი, თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოთა მიერ გამოცემული ნორმატიული აქტები. როგორც იუსტიციის სამინისტროში აცხადებენ, ამ ხნის განმავლობაში რეგისტრირებულია: 51 საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება, 10 საქართველოს ორგანული კანონი, 343 საქართველოს კანონი, 490 პრეზიდენტის ბრძანებულება, 114 პარლამენტის დადგენილება, 234 მთავრობის დადგენილება და 850 საუწყებო ნორმატიული აქტი.

იუსტიციის სამინისტროს ნორმატიული აქტების სისტემატიზაციისა და ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის გოჩა ვაჭარაძის ინფორმაციით, 2227 ნორმატიული აქტი, უშუალოდ, დეპარტამენტმა გაატარა რეგისტრაციაში, ხოლო 4340 ნორმატიული აქტი სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელი ტერიტორიული ორგანოს სახელმწიფო რეგისტრაციის სამსახურების, აგრეთვე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის მიერ დარეგისტრირდა. 2004 წელთან შედარებით, 2005 წელს გაორმაგდა, ზოგიერთ რეგიონში კი რამოდენიმეჯერ გაიზარდა რეგისტრირებული ნორმატიული აქტების მაჩვენებელი. ნორმატიული აქტების რეგისტრაციის გარდა, დეპარტამენტი მუშაობს ზოგიერთი რეგისტრირებული აქტის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოსაყვანად. დეპარტამენტმა 2005 წელს სასამართლოში 6 სარჩელი აღძრა ხარვეზების მქონე ნორმატიული აქტების გაუქმების ან მასში ცვლილების შეტანის მოთხოვნით. იუსტიციის სამინისტროს შენიშვნების გათვალისწინების შემდეგ სამი საქმე შეწყდა, 2 საქმეზე სასამართლომ სამინისტროს მოთხოვნა დააკმაყოფილა, ხოლო ერთი საქმე ჯერ კიდევ განიხილება.

*პრაიმ-ნიუსი*

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

________________________________________

### ა ნ კ ე ტ ა

**სახელი, გვარი**.......................................

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი**.......................................

**საკონტაქტო ტელეფონი** .......................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპი"-ს და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

[illegible]

1. მეტროს სადგური [illegible];
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური [illegible];
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური [illegible];
8. მეტროს სადგური [illegible];
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. [illegible] გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპი"-ს ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0111 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

# საახალწლო ანაბარი

წლიური

**11,75%**

დოლარი / ევრო




## + საჩუქრად




- საპროცენტო სარგებლის წინასწარი, ყოველთვიური ან ვადის ბოლოს გატანის შესაძლებლობა;
- საპროცენტო სარგებლის მიღება მიმდინარე ანგარიშიდან ან პლასტიკური ბარათის მეშვეობით;
- მოთხოვნისთანავე შესაძლებელია სესხის აღება ანაბარზე დასარიცხ პროცენტს + 4% წლიური განაკვეთით;
- მოთხოვნისთანავე შესაძლებელია ოვერდრაფტის დაშვება კლიენტის მიმდინარე ან საბარათო ანგარიშზე.

**ბანკი რესპუბლიკა** 29 45 99

ცენტრალური ფილიალი
თბილისი, გრ.აბაშიძის ქ. 2
ტელ: (995 32) 294598, 294599; ფაქსი: (995 32) 227566

დელისის ფილიალი
თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზირი 47ა
ტელ: (995 32) 312161, 312181; ფაქსი: (995 32) 312161

სამტრედიის ფილიალი
სამტრედია, რაზმაძის ქ. 2
ტელ: (8 211) 21353, 21157, 21938, 569855, 560740
ფაქსი: (8 211) 560740

სადგურის ფილიალი
თბილისი, რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორია
ტელ: (995 32) 911117, 911118, 237043; ფაქსი: (995 32) 911117, 911118

გლდანის ფილიალი
თბილისი, ხიზანიშვილის ქ.20
ტელ: (995 32) 590770, 590880; ფაქსი:(995 32) 590660

ზუგდიდის ფილიალი
ზუგდიდი, ზვ.გამსახურდიას გამზ. 34
ტელ: (8 215) 5 00 08, 5 08 08

ბათუმის ფილიალი
ბათუმი, ქუთაისის ქ. 6
ტელ: (8 222) 32810, 32811; ფაქსი: (8 222) 32812

ჩოგბურთი

# ჰინგისი დაბრუნდა!



როგორც კი ცნობილი გახდა ავსტრალიიია ღია ჩემპიონატის კენჭისყრის შედეგები, მყისვე გაქრა ყველა ეჭვი პირველი წრის ცენტრალური მატჩის შესახებ ქალთა შორის. ის უნდა ყოფილიყო დაპირისპირება ტურნირის 30-ე ნომერს ვერა ზვონარევასა და შვეიცარიელ მარტინა ჰინგისს შორის. გახდა რა ავსტრალიის ღია ჩემპიონატის ყველაზე ახალგაზრდა გამარჯვებული, მარტინა ჰინგისი ორწლიანი შესვენების შემდეგ კვლავ დაუბრუნდა დიდ ჩოგბურთს. ვერა ზვონარევამ კი 2004 წელს მიღწეული პროგრესის შემდეგ თანდათან დათმო პოზიციები.

ეს იყო ორი საჩოგბურთო სტილის მიმდევარი მოთამაშის დაპირისპირება - ზვონარევას ძალისმიერი და ჰინგისის ჭკვიანური. საბოლოო ჯამში ზვონარევასთვის მატჩი თავბრუდამხვევი მარცხით დაიწყო და ასევე განვითარდა კიდეც ბოლომდე. ზვონარევა 40:0 იგებდა და ამის მიუხედავად იმდენი "მოახერხა", რომ შვეიცარიელს გეიმი დაუთმო. ამას მოჰყვა მომდევნო ორი გეიმიც და რუსმა ჩოგბურთელმა პირველი ქულის მოპოვება მხოლოდ - 0:3-ის შემდეგ შესძლო. აღსანიშნავია, რომ მარტინა მუდმივად ცვლიდა თამაშის ტემპსა და მიმართულებას და ამ მრავალფეროვნების ხარჯზე ზვონარევას მუდმივად ჩიხში აქცევდა.

ამდენად რუსი ჩოგბურთელისთვის ერთადერთ იმედად ჰინგისის არცთუ ისე შთამბეჭდავი ფიზიკური ფორმა დარჩა, რომელსაც შვეიცარიელი თანდათან იღდგენს. თუმცა ზვონარევასთვის სამწუხაროდ პირველივე სეტში ცხადი გახდა, რომ ფუნქციონალურად ჰინგისი არავისზე ნაკლებად არ იყო მომზადებული.

შვეიცარიელმა დიდი ძალისხმევის გარეშე გაუძლო საკმაოდ მაღალ ტემპს და წარმატებით რეაგირებდა ზვონარევას ძლიერ დარტყმებზე. პირველი სეტი ჰინგისმა დამსახურებულად მოიგო - 6:1. ამასთან მან მხოლოდ 4 უნებლიე შეცდომა დაუშვა.

მეორე სეტში რუსი ჩოგბურთელის ყურება საცოდაობა იყო. ჰინგისი მას უბრალოდ ფიტავდა და აიძულებდა კორტის ერთი მხრიდან მეორისკენ ერბინა. თუმცა შეიგრძნო, რა გამარჯვების მოახლოება ჰინგისი ცოტა არ იყოს აღელდა და 5:1-ზე რამდენიმე უნებლიე შეცდომა დაუშვა, მაგრამ დროულად მოახერხა საკუთარ თავზე კონტროლის დაწესება და პირდაპირ რომ ვთქვათ, თავისთვის იოლი მატჩი დამაჯერებელი გამარჯვებით დააგვირგვინა.

ჰინგისის მომდევნო მეტოქე ფინელი ემა მაინი გახდება, რომელსაც შვეიცარიელი, ალბათ, გასცდება. მესამე წრეში კი მას სავარაუდოდ ფრანგი მეხუთე ნომერი მარი პირსი უნდა შეხვდეს. სწორედ ეს მატჩი გასცემს პასუხს კითხვაზე რამდენად მზად არის მარტინა ჰინგისი დიდი გამარჯვებისთვის.

ვაჟთა ნახევარში ტურნირს სამი განთესილი გამოაკლდა. მე-9 ნომერი ფერნანდო გონსალესი ამერიკელმა ბოგომოლოვმა დაამარცხა. მე-14 ნომერი ფრანგი რიჩარდ გასკე ტომი ჰაასმა გაუყენა სამშობლოს, ხოლო ხოლო 22-ე ნომრად განთესილი ასევე ფრანგი გაელ მონფილსი პერუელმა ლუის ჰორნამ გამოთიშა ასპარეზობას.

**ვაჟები:**

| | |
|---|---|
| როჯერ ფედერერი (შვეიცარია, 1) - დენის ისტომინი (უზბეკეთი) | 6:2, 6:3, 6:2 |
| ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია, 3) - რობინ ვიკი (ჩეხეთი) | 6:4, 2:6, 5:7, 7:6, 6:3 |
| სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი, 25) - მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) | 6:4, 6:2, 6:3 |
| ტომი ჰაასი (გერმანია) - რიჩარდ გასკე (საფრანგეთი, 14) | 6:2, 7:5, 6:2 |
| ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) - ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 6:1, 6:3, 6:3 |
| ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი, 15) - ტომას ზიბი (ჩეხეთი) | 7:5, 6:0, 6:2 |
| ალექს ბოგომოლოვი (აშშ) - ფერნანდო გონსალესი (ჩილე, 9) | 4:6, 7:6, 6:3, 6:7, 7:5 |
| გილიერმო კორია (არგენტინა, 6) - ვიქტორ ჰანესკუ (რუმინეთი) | 6:4, 1:6, 4:6, 6:2, 6:1 |
| პეტერ ლუზაკი (ავსტრალია) - ივო მინარი (ჩეხეთი) | 7:6, 7:6, 6:4 |
| ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი, 5) - ივო კარლოვიჩი (ხორვატია) | 7:6, 4:6, 3:6, 7:5, 6:3 |
| ნიკოლას კიფერი (გერმანია, 21) - პარადორნ შრიჩაპხანი (ტაილანდი) | 6:7, 4:6, 7:6, 6:1, 6:2 |
| ლუის ჰორნა (პერუ) - გაელ მონფილსი (საფრანგეთი, 22) | 6:4, 7:5, 6:1 |
| დიკ ნორმანი (ბელგია) - ზაკ ფლეიშმანი (აშშ) | 6:4, 7:6, 5:7, 0:6, 6:3 |
| რაიმონ სლუიტერი (ჰოლანდია) - პაველ სნობელი (ჩეხეთი) | 6:4, 2:6, 6:2, 6:4 |
| ფლორიან მაიერი (გერმანია) - იუნგ-ტაიკ ლი (ს. კორეა) | 6:4, 6:1, 4:6, 6:4 |
| ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი, 28) - კენეტ კარლსენი (დანია) | 7:6, 6:4, 6:4 |
| მაქს მირნი (ბელორუსი, 30) - ტიერი ასკიონე (საფრანგეთი) | 6:3, 3:6, 6:1, 6:7, 6:0 |
| იგორ ანდრეევი (რუსეთი, 23) - ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი) | 7:5, 6:4, 6:3 |
| ოლივიე როხუსი (ბელგია, 24) - მიშელ ლოდრა (საფრნაგეთი) | 6:4, 6:2, 6:2 |
| კრისტოფ ვლიეგენი (ბელგია) - კრისტოფერ როხუსი (ბელგია) | 6:3, 6:1, 6:4 |
| ბიორნ პაუ (გერმანია) - კარლოს ბერლოკი (არგენტინა) | 6:4, 7:6, 2:6, 7:6 |
| დავიდე სანგინეტი (იტალია) - ჯაკობ ადაკტუსონი (შვედეთი) | 7:6, 6:3, 6:2 |
| კევინ კიმი (აშშ) - ჰარელ ლევი (ისრაელი) | 6:4, 6:4, 6:0 |
| პოლ გოლდშტეინი (აშშ) - ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 6:2, 1:6, 6:3, 6:2 |
| იანკო ტიპსარევიჩი (სერბეთი) - ანდრეას სეპი (იტალია) | 1:6, 6:4, 4:6, 6:2, 6:4 |
| ხუან მონაკო (არგენტინა) - ჟან-რენე ლისნარდი (საფრანგეთი) | 4:6, 6:2, 6:4, 6:3 |
| ნათან ჰალეი (ავსტრალია) - ფილიპო ვოლანდრი (იტალია, 29) | 6:2, 6:3 |
| ბორის პაშანსკი (სერბეთი) - უაეინ არტურსი (ავსტრალია) | 6:3, 6:4, 4:6, 7:6 |
| დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი, 12) - ოლივერ მარაჩი (ავსტრია) | 3:6, 4:6, 6:2, 6:1, 6:3 |
| პოლ-ანრი მატიე (საფრანგეთი) - არნო კლემანი (საფრანგეთი) | 6:3, 7:6, 6:3 |
| ამერ დელიჩი (აშშ) - პოტიტო სტარაჩი (იტალია) | 7:5, 6:7, 6:3, 3:6, 6:3 |
| ფედერიკო ლუზი (იტალია) - ხუან ანტონიო მარინი (კოსტა-რიკა) | 6:1, 6:4, 7:5 |

**ქალები:**

| | |
|---|---|
| ამელი მორესმო (საფრანგეთი, 3) - ტიანტიან სუნი (ჩინეთი) | 4:6, 6:2, 6:2 |
| მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) - ვერა ზვონარევა (რუსეთი, 30) | 6:1, 6:2 |
| დინარა საფინა (რუსეთი, 19) - ტატიანა გარბინი (იტალია) | 6:0, 6:1 |
| მარი პირსი (საფრანგეთი, 5) - ნიკოლ პრატი (ავსტრალია) | 6:1, 6:1 |
| კიმ კლიისტერსი (ბელგია, 2) - იონ-ჯიონგ ჩო (ს. კორეა) | 6:3, 6:0 |
| სამანტა სტოსური (ავსტრალია) - სევერინ ბრემონდი (საფრანგეთი) | 6:3, 6:4 |
| ნიკოლ ვაიდისოვა (ჩეხეთი, 16) - ანასტასია იაკიმოვა (ბელორუსი) | 6:1, 6:3 |
| სანია მირზა (ინდოეთი, 32) - ვიქტორია აზარენკა (ბელორუსი) | 7:6, 6:2 |
| ანა ივანოვიჩი (სერბეთი, 21) - შენეი პერი (აშშ) | 6:4, 6:4 |
| მარტინა სუხა (სლოვაკეთი) - ანა სმაშნოვა ისრაელი) | 3:6, 6:3, 6:4 |
| შინობუ ასაგო (იაპონია) - შაჰარ პეერი (ისრაელი) | 3:6, 6:1, 6:4 |
| აიკო ნაკამურა (იაპონია) - ალიზ კორნიე (საფრანგეთი) | 6:2, 4:6, 6:2 |
| ანასტასია მისკინა (რუსეთი, 12) - იულიანა ფედაკი (უკრაინა) | 7:6, 6:1 |
| მარია სანჩეს-ლორენცო (ესპანეთი) - ლუსი საფაროვა (ჩეხეთი) | 6:4, 6:3 |
| ემა ლაინი (ფინეთი) - ნურია ლაგოსტერა-ვივესი (ესპანეთი) | 6:1, 6:1 |
| ანა-ლენა გრენეფელდი (გერმანია, 22) - ლორა პოუს ტიო (ესპანეთი) | 2:6, 6:4, 7:5 |
| რობერტა ვინჩი (იტალია) - მეგან შონესი (აშშ) | 7:5, 6:4 |
| ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) - ჯი ზიენგი (ჩინეთი) | 5:7, 6:2, 6:4 |
| ემილი ლუა (საფრანგეთი) ვიქტორია კუტუზოვა (უკრაინა) | 6:2, 6:0 |
| კატალინა კასტანო (კოლუმბია) - ვერა დუშევინა (რუსეთი) | 5:7, 6:3, 6:1 |
| ჯეიმი ჯექსონი (აშშ) - ტამარინ ტანასუგარნი (ტაილანდი) | 7:6, 6:2 |
| სიბილ ბამერი (ავსტრია) - ევა ბირნეროვა (ჩეხეთი) | 7:5, 6:4 |
| მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი, 27) - ემი ფრეზერი (აშშ) | 6:3, 6:2 |
| ფრანჩესკა სკიავონე (იტალია, 15) - ანტონელა სერა ზანეტი (იტალია) | 6:2, 7:5 |
| მენგ ჟუანი (ჩინეთი) - მელინდა ჩზინკი (უნგრეთი) | 6:4, 6:2 |
| ჟიზელა დულკო (არგენტინა, 31) - მარეტ ანი (ესტონეთი) | 6:0, 7:6 |
| სოფია არვიდსონი (შვედეთი) - მარია ვენტო-კაბჩი (ვენესუელა) | 6:1, 6:2 |
| ივეტა ბენეშოვა (ჩეხეთი) - რიკა ფუჯივარა (იაპონია) | 2:6, 6:1, 7:5 |
| პეტი შნაიდერი (შვეიცარია, 7) - ელენი დანილიდუ (საბერძნეთი) | 6:4, 6:3 |
| ზი იანი (ჩინეთი) - ნატალი დეში (საფრანგეთი, 11) | 6:7, 6:2, 6:3 |
| მიხაელა კრაიჩეკი (ჰოლანდია) - კრისტინა ბრანდი (პუერტო-რიკო) | 6:4, 7:6 |
| ფლავია პენეტა (იტალია, 20) - კარა ბლეიკი (ზიმბაბვე) | 6:2, 2:6, 6:3 |







## ევრაზიის ფონდი

### კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრები

www.crrccenters.org

### კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი-საქართველო

### 2006 წ. CRRC-ს სტიპენდიების კონკურსი

CRRC

კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი-საქართველო (CRRC-საქართველო) იღებს განაცხადებს 2006 წ. სტიპენდიების პროგრამისთვის. ცენტრი უზრუნველყოფს კვლევითი გრანტებით კერძო პირებს ან მკვლევარების მცირე ჯგუფებს სამხრეთ კავკასიის რეგიონიდან კვლევითი პროექტების ჩასატარებლად, რომლებიც კავშირშია სამხრეთ კავკასიისათვის მნიშვნელოვან სოციალურ ან ეკონომიკურ საკითხებთან.

**პროგრამა**: CRRC-ს სტიპენდიების პროგრამა დაინტერესებულ პირებს სთავაზობს კვლევითი გრანტების ორ სახეობას:

ა) *CRRC-ს მონაცემთა ინიციატივის გრანტი*: სტიპენდიანტები ანალიზს გაუკეთებენ და დააფუძნებენ თავის კვლევას CRRC-ს მიერ მონაცემთა ინიციატივის პროექტის დროს მოპოვებულ მონაცემებზე - სამხრეთ კავკასიის სამ ქვეყანაში შეგროვებულ მონაცმთა პაკეტზე.

ბ) *CRRC-ს კვლევითი გრანტი:* სტიპენდიანტები შეაგროვებენ, ანალიზს გაუკეთებენ და დააფუძნებენ თავის კველევას ახალ ან სხვა არსებულ მასალაზე, რომელიც არ არის CRRC-ს მიერ მოპოვებულ მონაცემთა პაკეტებში.

კვლევითი პროექტი შეიძლება განხორციელდეს სამხრეთ კავკასიის ერთ-ერთ ქვეყანაში წარმოებული კვლევისა და ანალიზის საფუძველზე ან შეიძლება იყოს შედარებითი ხასიათის CRRC-ს რეგიონალურ ოფისებში ან სხვაგან მოპოვებული მონაცემების გამოყენებით.

**კონკურსში მონაწილეობის მიღების კრიტერიუმები:** განმცხადებლები უნდა იყვნენ საქართველოს მოქალაქეები ან საქართველოში მუდმივად მაცხოვრებლები.

განაცხადების შემოტანა შეუძლიათ სოციალური მეცნიერებების ან ჰუმანიტარული დარგების ინდივიდუალერ მკვლევარებს, რომლებიც თანამშრომლობენ ან მუშაობენ აკადემიურ ინსტიტუტებში, კვლევით დაწესებულებებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, ანალიტიკურ ცენტრებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში და სახელმწიფო უწყებებში. თუ განაცხადს წარმოადგენს მცირე ჯგუფი, გამოყოფილი უნდა იყოს ერთი მთავარი საკონტაქტო პირი, რომელიც იქნება პასუხისმგებელი კვლევითი პროექტის წარმართვაზე.

**მხარდაჭერა:** გაიცემა შვიდამდე (7) გრანტი მაქსიმუმ 3 500 ამერიკული დოლარის ოდენობით, რაც დამოკიდებული იქნება შერჩეული სასტიპენდიო განაცხადების რაოდენობაზე და თითოეული შერჩეული კვლევითი პროექტის კონკრეტულ საბიუჯეტო მოთხოვნებზე.

**განაცხადი:** CRRC-ს სტიპენდიის განაცხადის ფორმა შეგიძლიათ გადმოტვირთოთ CRRC-ს ვებ-გვერდიდან მისამართზე www.crrc.ge ან მიიღოთ CRRC-საქართველოს ოფისში.

**ბოლო ვადა:** განაცხადები ჩვენმა ოფისმა უნდა მიიღოს არა უგვიანეს **2006 წ. 23 თებერვლის (პარასკევი) 17:00 სთ GMT.**

ყველა დაინტერესებულ განმცხადებელს შეუძლია დაესწროს საორიენტაციო სესიას სტიპენდიანტებისთვის, რომელიც დაეხმარება მათ განაცხადის მოთხოვნებთან, განაცხადის ფორმასა და ზოგადად სტიპენდიების პროგრამასთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხის გაცემაში. ეს სესიები დაეხმარება დაინტერესებულ განმცხადებლებს სრულად შეავსონ განაცხადის ფორმები. შედგება ორი (2) სესია: პირველი - **2006 წ. 23 იანვარს 11:00 სთ.**, ხოლო მეორე - **2006 წ. 26 იანვარს 11:00 სთ-ზე**, ორივე CRRC-ს შენობაში.

2006 წ. სასტიპენდიო გრანტის, სტიპენდიანტებისთვის საორიენტაციო სესიების ან CRRC-საქართველოს შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ დაუკავშირდეთ ბ-ნ დავით ჩხეიძეს, CRRC-საქართველოს პროგრამის მენეჯერს ტელეფონზე (995 32) 91 24 92/93/51 ან ელ. ფოსტით: david@crrc.ge .



## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. გორის გამგეობა (მის. ქალაქი გორი, სტალინის გამზირი N16, ტელ. (8270) 7-20-97) აცხადებს ღია ტენდერს ქ. გორში ქუჩებისა და მოედნების დაგვა-დასუფთავების მომსახურების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება:

ა) ყოველდღიური დასაგველი მოასფალტებული ტერიტორიის ფართობი შეადგენს 59 300 მ2

ბ) ნაგავსაყრელამდე სპეცტრანსპორტით ზიდვის საშუალო მანძილია 7,5 კმ.

გ) ზაფხულის პერიოდში ასევე საჭიროა ქუჩების მორწყვა .

დ) მომსახურეობის გაწევის ადგილია ქ. გორი

ე) მომსახურეობის გაწევის სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2007 წლის 1 იანვრამდე.

2. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე 2006 წლის 8 თებერვლიდან 2006 წლის 17 თებერვლამდე შემდეგ მისამართზე: ქ. გორი სტალინის გამზ. N16, ადმინისტრაციული შენობა, ქალაქ გორის გამგეობის სატენდერო კომისიის აპარატში.

3. საკვალიფიკაციო მომაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია. აგრეთვე, ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

ბ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანდ ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა.

როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის შესაბამისი ტერიტორიული ორგანოდან საგადასახადო დავალიანებების არარსებობის შესახებ სახელმწიფო ბიუჯეტისადმი.

ბ) ინფორმაციას ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ.

გ) ინფორმაციას, ბოლო 2 (ორი) წლის ფინანსური ანგარიშგების შესახებ (ბალანსები, აუდიტორული დასკვნები).

დ) ინფორმაციას, საფინანსო რესურსების შესახებ (ფულადი სახსრები, საკრედიტო საშუალებები).

4. განცხადებას ტენდერში მონაწილეობის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად, უნდა ახლდეს მე-4 პუნქტში მითითებული დოკუმენტაციის ნუსხა, ხელმოწერილი განმცხადებლის მიერ.

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე, ბეჭედდასმულ და დალუქულ კონვერტში, წარმომდგენის ხელმოწერის აღნიშვნით 2005 წლის 8 თებერვლიდან 2005 წლის 17 თებერვლამდე მისამართზე: ქალაქი გორი სტალინის გამზირი N16, ქ. გორის გამგეობის სატენდერო კომისიის აპარატში.

7. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 150 (ასორმოცდაათი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის (საქართველოს ეროვნული ბანკი ანგ.N200122900, კოდი 220101107, სახაზინო კოდი 300434040,) შემდეგ შეეძლებათ მისამართზე: ქ. გორი, სტალინის გამზ.N16. ქ. გორის გამგეობის სატენდერო კომისიის აპარატში.

8. დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეუძლიათ მიმართონ ქ. გორის გამგეობის სატენდერო კომისიის აპარატის წევრს დავით მღებრიშვილს მისამართზე: ქ. გორი სტალინის გამზირი N16, ტელ (8270) 7-20-97.

*სატენდერო კომისიის თავმჯდომარე კ. თავზარაშვილი*

# ვირტუოზი ემიგრანტის ამბავი

## კიდევ ერთი ქართველი საერთაშორისო აღიარებით

*ხელში ქაღალდების ძალიან სქელი შეკვრა გადმომცეს, მაგრამ ეს თურმე მხოლოდ ნაწილი ყოფილა იმ ყველაფრისა, რაც შეიძლებოდა ევროპაში მოღვაწე ქართველ ვიოლონჩელისტზე, გიორგი ხარაძეზე დაწერილიყო. ამ შეკვრას კიდევ ერთი, ჩვენი მოკრძალებული წერილიც უნდა დაემატოს, თუმცა ეს არც ისე იოლი საქმეა, რადგანაც ქართულ პრესაში დაწერილი არც ერთი წერილის ავტორი ახალგაზრდა მუსიკოსს პირადად არ იცნობს და ამ თვალსაზრისით გამონაკლისები არც ჩვენ ვართ. ხარაძეების ოჯახმა 1993 წელს დატოვა სამშობლო და საფრანგეთის კულტურის მინისტრის მიწვევით ემიგრანტები გახდნენ. ემიგრაცია ჩვენთვის უცხო არ არის, მაგრამ მაინც იშვიათი შემთხვევაა, როცა ქართველები საზღვარგარეთ განსაკუთრებულად სასურველი სტუმრები ხდებიან. ასეთი შემთხვევები ძირითადად მაშინ ხდება, როცა საქმე პროფესიონალიზმს ეხება, მით უფრო ხელოვნებაში. ეს კონკრეტული ამბავიც ამ იშვიათი ხასიათის ემიგრაციას წარმოადგენს.*

სოფო კილასონია

გიორგი ხარაძე, რომელმაც ამ ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ფრანგი მუსიკალური საზოგადოება განაცვიფრა და რომელიც კლასიკური მუსიკის მომავალ გვირგვინოსნად მონათლეს, სულ რვა წლის გახლდათ, როცა მუსიკის შესწავლა საფრანგეთში დაიწყო და სულ მალე საკუთარი ვიოლონჩელოთი არაერთი კონცერტი და საღამო გამართა. მაგრამ ყველაფერი ამით როდი დაიწყო, გიორგი ხარაძის ხელოვნება მხოლოდ გაგრძელებაა იმ ოჯახური ტრადიციისა, რომელსაც ხარაძეების ოჯახი წარმოადგენდა, ჯერ საქართველოში, ახლა კი უკვე საფრანგეთში.

ჯერ იყო სიმფონიური კვარტეტი "თბილისი", სადაც გიორგის მამა, ბატონი არჩილი ალტზე უკრავდა. სწორედ "თბილისის" საფრანგეთში გასტროლი გახდა მიზეზი მათი გამგზავრებისა. უკვე საფრანგეთში ახალი კვარტეტი "ხარაძეები" შეიქმნა, სადაც მთელი ოჯახი, გიორგის მშობლები და და, თეონა უკრავდნენ. თეონა, რომელმაც პარიზის კონსერვატორია და მისი ასპირანტურა დაამთავრა, დღეს უკვე ცნობილი მევიოლინეა და გარკვეული პერიოდი კვარტეტ "სულიკოს" ხელძღვანელიც გახლდათ. როგორც ფრანგული პრესა იტყობინება, ოჯახური წარმატების მიუხედავად, გიორგის მიღწევები სულ სხვა ფენომენია და მისი მონაცემები ძალზედ პერსპექტიული.

ხარაძეების ყველაზე უმცროსმა წარმომადგენელმა ვიოლონჩელო აირჩია და პარიზის უნივერსიტეტიც დაამთავრა. ამჟამად ასპირანტია. სწავლის პერიოდში არაერთი ჯილდო და მეტად დადებითი შეფასებაც მიიღო. 15 წლის ასაკში საფრანგეთის ეროვნულ მუსიკალურ კონკურსში პირველი პრემია დაიმსახურა. მოგვიანებით კი გერმანიაში, შტუტგარტის ვიოლონჩელისტთა საერთაშორისო კონკურსის უმაღლეს ჯილდოს დაეუფლა. გიორგის ამ წარმატებების შესახებ დაინტერესებულ საზოგადოებას უკვე კარგად მოეხსენება, თუმცა მის ბიოგრაფიას კიდევ ერთი სიახლე და აღსანიშნავი ფაქტი შეემატა.



*გიორგი ხარაძე.*

გასული წლის 10 ნოემბრიდან 22 ნოემბრამდე პარიზში ვიოლონჩელისტებს შორის როსტრაპოვიჩის სახელობის VIII საერთაშორისო კონკურსი ჩატარდა. 211 მონაწილის მოსმენა სხვადასხვა ქალაქში: ტოკიოში, მოსკოვში, ნიუ იორკში და პარიზში გამართულა. საბოლოოდ კონკურსზე 77 მუსიკოსი დაუშვეს, მათგან მეორე ტურში მხოლოდ ოცდახუთი გასულა. სულ ექვსი პრემია გახლდათ გასაცემი. პირველი და მეორე პრემიები გერმანელმა მუსიკოსებმა დაიმსახურეს, მესამე კი გიორგი ხარაძეს ხვდა წილად. გიორგი კონკურსზე საქართველოს სახელით გასულა, თუმცა ეს გამორჩეული მოვლენა ნამდვილად არ ყოფილა. ქართველი მუსიკოსი ყველგან და ყოველთვის თამამად აცხადებს, რომ განსაკუთრებულად აღინიშნოს მისი წარმომავლობა. ნებისმიერ კონცერტსა და კონკურსზე იგი საქართველოს წარმოადგენს.

როსტრაპოვიჩის კონკურსზე გიორგი ხარაძე კიდევ ერთი პრიზით დაჯილდოვდა. ეს უკანასკნელი მას XIX საუკუნის კომპოზიტორის საუკეთესოდ შესრულებისთვის გადაეცა. ორივე პრემია გიორგის როსტროპოვიჩმა გადასცა. ამ უკანასკნელმა ორი ქართული სიტყვა "შენ გენაცვალე" გაიხსენა და არც გულმხურვალე მილოცვა არ დაიშურა: "ასეთი მომზადებული და მაღალი დონე ამ კონკურსზე არ ყოფილა. ყველანი კარგები იყავით, თუმცა კონკურსზე, როგორც ყოველთვის, ყველაზე ძლიერები რჩებიანო" - აღნიშნა დიდმა მუსიკოსმა.

გიორგი ხარაძეს, მისი მეტად დახვეწილი მანერის, შრომისმოყვარეობისა და დიდი ნიჭიერების წყალობით წარმატებები არც აქამდე აკლდა და თუ ამ ბოლო მიღწევის მნიშვნელობას გავითვალისწინებთ, წინ კიდევ მრავალი საინტერესო ეტაპი ელის. მისი სმენისას ყველაზე ხშირად მუსიკოსის ვირტუოზულ შესრულებას აღნიშნავენ, რაც უდავოდ მაღალი დონის საშემსრულებლო სკოლას მოაქვს. ჯერ კიდევ პარიზის პირველი კურსის სტუდენტი ცნობილმა პროფესორმა რონალდ პიდუმ მოსწავლედ აიყვანა. რაც შეეხება ასპირანტურის კურსს, რომელსაც კიოლნში გადის, აქ გიორგი უკვე გამოჩენილი ვიოლონჩელისტის, ფრანც ჰერსერსონის კლასშია. საფრანგეთის ეროვნული კონკურსის სამგზის ლაურეატი და როსტროპოვიჩის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი დღეს უკვე ყველაზე ხშირად თბილისში ჩამოსვლაზე საუბრობს. როგორც ვიცი, კონკრეტული არაფერი იგეგმება, თუმცა საქართველოში სამომავლოდ გასამართ კონცერტზე გიორგი უკვე ოცნებობს.

# განცხადება

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ 2005 წლის 2 დეკემბრის №267 გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ სატელევიზიო მექანიკის თარგმნა-გახმოვანებაზე ღია ტენდერში გამოვლინდა ერთი გამარჯვებული ოთხივე ლოტზე და გაფორმდა ხელშეკრულება:
№220-1 ი/მ "დავით იმედაშვილთან"

# დაზუსტება

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ 2006 წლის 11 იანვარს, გაზეთ "24 საათში" (N3) გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში, რომელიც შეეხება თბილისი-სენაკი-ლესელიძის ს/გზის კმ27-კმ43 მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოების საზედამხედველო მომსახურების (ინტელექტუალური მომსახურება) ორეტაპიანი ტენდერის საშუალებით შესყიდვას.

4.1.3. "ბ" ქვეპუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**ბ.** ქვე-კონტრაქტორის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია განიხილება იურიდიული ან/და ფიზიკური პირის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთობლიობაში.

-- ცნობას, იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ, უკანასკნელი 3 (სამი) წლის (2003, 2004, 2005 წლები) განმავლობაში გაწეული ანალოგიური მომსახურების გამოცდილების შესახებ.

იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში ერთ-ერთ წელს, საავტომობილო გზებზე, გაწეული უნდა ჰქონდეს არა ნაკლებ 15 მილიონი ლარის ღირებულების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურება.

შენიშვნა: ცნობა უნდა წარმოდგეს ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| N | სამუშაოს დასახელება (თითოეული ობიექტის დასახელებით) | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | სასურველია ხელშეკრულებების ასლების წარმოდგენა, თუ კონფიდენციალური არ არის |
| 2 | | | | |
| და ა.შ. | | | | |

-- ცნობას, 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დებიტორულ-კრედიტორული დავალიანების შესახებ.

შენიშვნა: სასურველია მითითებული იქნას მსხვილი დებიტორ-კრედიტორები და დავალიანების წარმოშობის თარიღი.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ატარებს ღია ტენდერს უცხოური წარმოების გასაბერი გადახურვის საშუალების (დროებითი სახურავი) სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება: ზომა - არანაკლებ 25X40მმ, სიმაღლე - არანაკლებ 5მ, შემსყიდველის მიერ მითითებულ ტერიტორიაზე მონტაჟით, ექსპლუატაციის და საკონსულტაციო მომსახურების არანაკლებ 1 წლიანი გარანტიით.

*2*. შესყიდვის ობიექტის მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2006 წლის 31 მარტი.

*3*. განაცხადი, პირველადი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილ იქნას 2006 წლის 7 თებერვლის 16 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, ქ. თბილისის მერისს კეთილმოწყობის სამსახური.

*4*. პრედენტენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის:**

. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები)

- ცნობებს რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ;

**ფიზიკური პირისათვის:**

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

- ცნობა სასმართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

*5*. თუ პრედენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების დადებამდე.

*6.* სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის გადახდის შემდგომ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (რაიონების მიხედვით) ა. N 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; მთაწმინდა-კრწანისის რაიონი 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი 300044040; ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 7 თებერვლამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**7.**ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

**8.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: გიორგი დათუნაშვილი- საკონტაქტო ტელეფონი 99-60-35, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ატარებს ღია ტენდერს ქ. თბილისში, ქ. წამებულის გამზირზე (მ/ს "ისნიდან" - მოსკოვის გამზირამდე), მოსკოვის გამზირზე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩაზე, ბოგდან ხმელნიცკის ქუჩაზე, ზემო ფონიჭალის დასახლებაში, გლდანულას დასახლებაში I კატეგორიის ხეების გადაბელვისათვის საჭირო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 5 პოზიციად (ლოტად):

1. ლოტი - ქ. წამებულის გამზირზე (მ/ს "ისნიდან" - მოსკოვის გამზირამდე) - 145 ძირი I კატეგორიის ხის გადაბელვა; 2.ლოტი - მოსკოვის გამზირზე - 360 ძირი I კატეგორიის ხის გადაბელვა; 3.ლოტი - ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩაზე - 124 ძირი I კატეგორიის ხის გადაბელვა; 4. ლოტი - ბოგდან ხმელნიცკის ქუჩაზე - 71 ძირი I კატეგორიის ხის გადაბელვა; ზემო ფონიჭალის დასახლებაში - 12 ძირი I კატეგორიის ხის გადაბელვა; 5.ლოტი - გლდანულას დასახლებაში - 100 ძირი I კატეგორიის ხის გადაბელვა.

შესასრულებელი სამუშაოების მოკლე დახასიათება: ხეების გადაბელვა და ნარჩენების გატანა.

*2*. სამუშაოების დასრულების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2006 წლის 28 თებერვალი.

*3*. განაცხადი, პირველადი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილ იქნას 2006 წლის 7 თებერვლის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, ქ. თბილისის მერისს კეთილმოწყობის სამსახური.

*4*. პრედენტენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის:**

. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები)

- ცნობებს რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ;

**ფიზიკური პირისათვის:**

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

- ცნობა სასმართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

- ინფორმაციას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.

*5*. თუ პრედენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებამდე დადებამდე.

*6.* სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის გადახდის შემდგომ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (რაიონების მიხედვით) ა. N 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; მთაწმინდა-კრწანისის რაიონი 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი 300044040; ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 7 თებერვლამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

*7.* ტენდერში პოზიციების (ლოტების) მიხედვით შესაძლებელია გამოვლინდეს რამდენიმე გამარჯვებული.

*8.* დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: გიორგი დათუნაშვილი- საკონტაქტო ტელეფონი 99-60-35, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

***სატენდერო კომისია***

**შპს "სახელმწიფო უზრუნველყოფა" აცხადებს კონკურსს ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზ. №64-ში მდებარე შენობის (1916 კვ მ), მასზე არსებული წესით დამაგრებული წილობრივი მიწის ფართთან ერთად კონკურსის ფორმით რეალიზების მიზნით**

**კონკურსის თაობაზე დაწვრილებითი ინფორმაცია გამოქვეყნებულია გაზეთ "მესაკუთრეს" 26.11.05 წ. №43(440) და 14.01.06 წ. №2(447) ნომრებში (ჭანტურიას ქ. №12, III სართული).**

**შპს "სახელმწიფო უზრუნველყოფა"**
**მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №64**
**საკონტაქტო ტელეფონი: 91-60-79, 29-48-51, 899 35-55-35, 899 55-52-20**

**შპს "სახელმწიფო უზრუნველყოფა" აცხადებს აუქციონს ქ. თბილისში, ა. ყაზბეგის ქ. № 42 ა-ში მდებარე შენობის სარდაფის 564,8 კვ მ ფართობის აუქციონის ფორმით რეალიზების მიზნით**

**აუქციონის თაობაზე დაწვრილებითი ინფორმაცია გამოქვეყნებულია გაზეთ "მესაკუთრეს" 14.01.06 წ. №2(447) ნომერში (ჭანტურიას ქ. №12, III სართული).**

**შპს "სახელმწიფო უზრუნველყოფა"**
**მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №64**
**საკონტაქტო ტელეფონი: 91-60-79, 899 35-55-35, 899 55-52-20**

# კონკურსი

## საქართველოს პრეზიდენტთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის სახელმწიფო პრემიების კომიტეტისაგან

საქართველოს პრეზიდენტთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის სახელმწიფო პრემიების კომიტეტი აცხადებს საკონკურსო ნამუშევრების მიღებას ამა წლის 23 იანვრიდან 28 თებერვლამდე შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული პრემიის მოსაპოვებლად.

საკონკურსო ნამუშევრებისა და დოკუმენტაციის მიღების უკანასკნელი ვადაა 2006 წლის 28 თებერვალი.

საკონკურსოდ მიიღება უკანასკნელი სამი წლის მანძილზე, 2003 წლის 1 იანვრიდან 2006 წლის 1 იანვრამდე სრული სახით გამოქვეყნებული, ნაჩვენები, დადგმული, აგებული, გამოფენილი ნაწარმოებები (მთელი შემოქმედების გათვალისწინებით).

დაწესებულია 5 (ხუთი) პრემია შემდეგ ნომინაციებში:

1. მხატვრულ ლიტერატურაში, 2. მუსიკაში, 3. სახვით ხელოვნებაში, 4. თეატრალურ ხელოვნებაში, 5. კინოხელოვნებაში, 6. მხატვრულ პუბლიცისტიკაში, 7. არქიტექტურაში.

სახელმწიფო პრემიების კომიტეტი სთხოვს კულტურის სამინისტროს, შემოქმედებით კავშირებსა და ორგანიზაციებს, გამომცემლობებს, რედაქციებს, თეატრებს, სხვა დაინტერესებულ კომპეტენტურ დაწესებულებებსა და პირებს, დროულად იზრუნონ საკონკურსო მასალების შერჩევასა და წარმოდგენაზე.

ცნობა საჭირო დოკუმენტაციის შესახებ

1. წარდგინება ანუ აღწერა-დახასიათება ნაწარმოებისა, რომლის გამოც წარმოადგენთ მის ავტორს სახელმწიფო პრემიაზე. დოკუმენტს ხელს აწერს წარმომდგენი;
2. პრესაში გამოქვეყნებული რეცენზიები საკონკურსო ნაწარმოებების შესახებ;
3. კანდიდატის მოკლე შემოქმედებითი ბიოგრაფია;
4. კადრების აღრიცხვის ფურცელი;
5. ლიტერატურული ნაწარმოები 15 ეგზემპლარად, დანარჩენ დარგებში საჭირო ფოტომასალა და სხვა მასალები ნაწარმოებზე წარმოდგენის შესაქმნელად;
6. კანდიდატის ორ-ორი ფოტოსურათი (3X4 სმ და 6X9 სმ).

ავტორთა კოლექტივების წარდგინებისას წესდებით დასაშვებია წარდგენა არა უმეტეს 4 კანდიდატისა.

დამატებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ ტელეფონებით: 99-06-36, 99-64-82.



# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი თორნიკე ზურაბიშვილი

გამოკითხვა

## როგორ აფასებთ ქართველი მომღერლების ინიციატივას, რომლებმაც თავიანთი სიმღერები აფხაზურად ააჟღერეს?

**მურმან ძაძუა**, მათემატიკოსი, 55 წლის: "ტელევიზიით ამ კადრებს რომ ვუყურე, მომეწონა. ძალიან კარგი საქმეა. იმითაა კარგი, რომ აფხაზებს მოახვედრებს აქეთ. დაანახებს, რომ ცუდი არ გვახსოვს, მტრები არა ვართ. რუსებისგან მაგათ სულ ესმით, რომ ჩვენა ვართ მათი პირველი მტრები. ეს კლიპები, პირველ რიგში, ახალგაზრდობაზეა გათვლილი. ახალგაზრდები ცოტა სხვანაირად უყურებენ ცხოვრებას, დაფიქრდებიან, სინამდვილეში, ჩვენ ვინ ვართ. ასე რომ, ამ ინიციატივას ნამდვილად მივესალმები."

**ნონა გიგაური**, ინჟინერი, 43 წლის: "შეიძლება, ქართველი მომღერლების სიმღერების აფხაზურად შესრულებამ მართლაც მოიტანოს დადებითი შედეგი და უარყოფითი შთაბეჭდილება შეამციროს. იქნება, ასეთი გზით ნელ-ნელა გაქრეს ის დაძაბულობა და უნდობლობა, რაც ჩვენს შორის არსებობს. თავიანთ მშობლიურ ენაზე რომ ისმენენ ქართულ სიმღერებს, თანაც, ასეთი კეთილგანწყობით, სულ სხვაა. სწორი გადაწყვეტილებაა ხელოვნების ჩართვა ამ საქმეში, რომ ხელოვნებამაც თავისი წვლილი შეიტანოს კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებაში."

**მაია კაპანაძე**, ეკონომისტი, 41 წლის: "მარტო სიმღერებით რომ არაფერი გაკეთდება, ცხადია. ეს ხომ არ არის "იავნანამ რა ჰქმნა", რომ ქვეყნის ხმა ამოაღებინოს და წარსული გააახლოს, თუმცა, სიმღერა, ცხადია, არც არაფერს დააშავებს. ჩვეულებრივ ადამიანებს - აფხაზებსა და ქართველებს ერთმანეთის მიმართ ცუდი განწყობა არც ახლა აქვთ. დაძაბულობას პოლიტიკოსები ქმნიან და პოლიტიკოსებმა უნდა მოხსნან."

**ვენერა რამიშვილი**, ბიოლოგი, 60 წლის: "ამ ინიციატივას, რასაკვირველია, დადებითად ვაფასებ, უეჭველად კარგ შედეგს გამოიღებს, ესეც ერთი ნაბიჯი იქნება კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისათვის."

**კობა ფანცულაია**, სტუდენტი, 20 წლის: "მე მგონი, კარგი იქნება, ქართული სიმღერების გააფხაზურებასთან ერთად, აფხაზურ სიმღერებსაც თუ გააქართულებენ და ჩვენი ეთერით გაუშვებენ. ასეთი ორმხრივი ღონისძიებები უფრო კარგ შედეგს გამოიღებს."

**ნანა ჩაჩუა**, ფსიქოლოგი: "ყველა ღონისძიებასთან ან ყველა სურვილთან ერთად, რომელიც არსებობს ქართველებისა და აფხაზების ურთიერთდამოკიდებულების შემსუბუქების, ურთიერთდაახლოებისა და ერთმანეთის სითბოს მიტანის თვალსაზრისით, ესეც ძალიან სასარგებლოა. ამ გზით ადამიანები ერთმანეთს შეახსენებენ, რომ განცდის ერთიანობა, ერთი სივრცე აქვთ. ეს ძალიან ბევრს ნიშნავს. ეს არის წარსულთან გამოთავისუფლება. როცა ადამიანი მოწყდება წარსულს, ამ შემთხვევაში ადამიანი არის არაპროდუქტიული, არ არის მთლიანი. როცა წარსულთან კავშირი აღდგება, ეს გამთლიანების მომავალიცაა. მომღერლების ეს ინიციატივა არის ის ძალისხმევა, რომელშიც ჩვენ - აფხაზები და ქართველები - ჩვენს განცდათა კონფრონტაციებს ვიყოფთ, ამ სივრცეში უნდა ვეძიოთ ერთიანობა. ამ სიმღერებით ჩვენ მომავლის ღირებულებების ერთ-ერთ მცდელობას, რომელიც უთუოდ იძლევა ეფექტს, მომავალში ეს მთლიანობა აღდგება."

# გული გაყოფილი გამიმთელე

*კულტურულ ურთიერთობათა ცენტრმა "კავკასიურმა სახლმა", წინასაახალწლოდ ქართველ და აფხაზ ქალბატონებს უმასპინძლა. ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახების წევრი ქალბატონების შეხვედრის ინიციატორი აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო და იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია "თანხმობა" იყო. თანხმობისა და შერიგების იდეით იყო გამსჭვალული შეხვედრაც, სიმბოლური სახელწოდებით - "გული გაყოფილი გამიმთელე".*

ლელა მარგიანი

აფხაზეთის კონფლიქტმა, ალბათ, ყველაზე მეტად შერეული ოჯახები დააზარალა. ბევრი ოჯახი დაინგრა მხოლოდ იმ მიზეზის გამო, რომ მისი ქართველი და აფხაზი წევრები ენგურს გაღმა-გამოღმა აღმოჩნდნენ. ომმა გათიშა მეუღლეები, მშობლები და შვილები, ახლო ნათესავები.

ცამეტი წელია, რამდენიმე ქალბატონი - ქართველების აფხაზი რძლები, მეუღლეებთან და შვილებთან ერთად თბილისში ცხოვრობს იმ რწმენით, რომ აფხაზეთის დაბრუნება მხოლოდ მშვიდობიანი გზით უნდა მოხდეს. მათ და მათ მეგობარ ქართველ ქალბატონებს სწამთ, რომ შერეული ოჯახების სახით, თბილისსა და სოხუმს ჰყავს მძლავრი დასაყრდენი ძალა კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების საქმეში, რადგან ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებს საუკუნეების ისტორია აქვს. ამ ქალბატონებს - აფხაზებსა და ქართველებს ორივე ხალხის ტკივილი თანაბრად სტკივათ, მათთვის ახლობელია როგორც ქართველების, ასევე აფხაზების ინტერესები.

აფხაზეთში დაბრუნებამდე კი მთავარი ქართველებსა და აფხაზებს შორის არსებული ჩატეხილი ხიდის აღდგენა და ნდობის მოპოვებაა. ნდობა ხშირი შეხვედრებისა და ურთიერთობის შემდეგ მოდის. ამიტომ იკრიბებიან ისინი ხშირად - ქართველი და აფხაზი ქალბატონები - მარშანიების, ფალავების, ემხვარების შთამომავლები, რომლებიც თბილისში აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევიან და ასე ემსახურებიან ქართულ სახელმწიფოს.

შეხვედრებზე საუბრობენ საერთო ტკივილზე, იგონებენ მშობლიურ აფხაზეთს, იქ გატარებულ ბედნიერ წლებს.

შერეული ოჯახების წევრი ქალბატონების წინასაახალწლო შეხვედრაც ამ სულისკვეთებით წარიმართა. იყო ბევრი მოგონება, იმედიანიც და ტკივილიანიც, იყო ურთიერთსიყვარული და პატივისცემა, იყო იმის საოცარი განცდა, რომ აფხაზეთი ის საოცნებო მხარეა, რომელიც თანაბრად ეკუთვნით აფხაზებსაც და ქართველებსაც და რომ იგი ქართველებთან ერთად აფხაზებმაც უნდა "დაიბრუნონ".

**"მსგავსი შეხვედრები არ არის მოტივირებული პოლიტიკური ინსტრუქციებით. ეს არის ჩვენი სულიერი მოთხოვნილება, გვქონდეს ურთიერთობა "ჩვენი გულიდან ჩამოგლეჯილ საკინძესთან". ასეთ შეხვედრაზე, როგორც არასდროს, გრძნობ, რომ ბევრი პრობლემის გადაწყვეტაა შესაძლებელი, თუკი შევძლებთ ვაღიაროთ, რომ ნდობის აღდგენის ერთადერთი გზა არის მიტევება და სიყვარული, ერთმანეთის მონატრების ხშირი დადასტურება. იმ ტრაგედიიდან გამომდინარე, რაც ჩვენ გადავიტანეთ, მძვინვარების, სასოწარკვეთის, შურისძიების პერიოდიც გვქონდა, მაგრამ ეს არ არის ის გზა,**



*შეხვედრაში მონაწილე ქართველ და აფხაზ ქალბატონთა ერთი ჯგუფი.*

**რომელიც ტაძრამდე მიგვიყვანს. იმ აღთქმულ მიწაზე, რომელსაც "აფხაზეთი" ჰქვია, ვერ შევძლებთ არსებობას, თუკი ჩვენს გვერდით არ იქნებიან აფხაზები,"** - აღნიშნა შეხვედრის ერთ-ერთმა ინიციატორმა, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრმა, ქალბატონმა სალომე კაპანაძემ.

"კავკასიური სახლის" საკვირაო სკოლის წევრი დევნილი ბავშვების მიერ მოქსოვილი გობელენებით, ბავშვების მიერვე გაკეთებული მატყლის თითქოს პრიმიტიული, მაგრამ საოცრად "თბილი" სათამაშოებით გალამაზებული საახალწლო ნაძვის ხის გარემოცვაში, სიყვარულით სავსე საღამოზე, ჟღერდა კლასიკური მუსიკა და ქართული სიმღერები, ისმოდა ქართული იუმორი.

შეხვედრით, "გაყოფილი გულის გამთელებით" კმაყოფილი იყო ყველა მისი მონაწილე, როგორც ქართველი, ასევე აფხაზი.

ია მაისაია, შეხვედრის ავტორი, აფხაზეთის კულტურის სამმართველოს უფროსის მოადგილე: **"შეხვედრამ გვიჩვენა, თუ როგორ მოგვნატრებია ერთმანეთი. ცამეტი წელია არსებობენ ოჯახები გაყოფილი სიყვარულით, გაყოფილი იღბლით. ეს, რა თქმა უნდა, მათ მძიმე ტვირთად აწევთ. მათ ორმხრივი ერთნაირი ტკივილი აქვთ. ნამდვილად დიდი მისია აკისრიათ შერეულ ოჯახებს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების საქმეში".**

მარინა ფალავა, არასამთავრობო ორგანიზაციის "დაეხმარე საკუთარ თავს" ხელმძღვანელი: **"დიდი მადლობა შეხვედრის ორგანიზატორებს ასეთი თბილი საღამოსთვის. სიყვარულის აურა სუფევს ამ დარბაზში. სიყვარულის, რომელიც ასე დააკლდა ჩვენს ცხოვრებას. გაეროს დახმარებით ხშირად ჩავდივარ სოხუმში. ვესაუბრები ახლობლებს, მოსახლეობას. ყველაფერი მაინტერესებს მათ შესახებ. სწორედ ეს უნდა გავარკვიოთ: როგორია დღეს აფხაზური საზოგადოება და როგორი - ქართული? რა სტკივა ერთს და რა - მეორეს. რისი მოლოდინი აქვთ, რისი ეშინიათ? თუ ჩვენს საზოგადოებებს შორის ნდობა არ აღდგება, ნებისმიერი პოლიტიკური პროცესი ჩაიშლება. მჯერა, ასეთი შეხვედრები დადებითად იმოქმედებს ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებზე. მით უფრო, რომ დღეს ხელისუფლების პოზიციაც მომავლის იმედს გვაძლევს მშვიდობიანი გზით პრობლემის მოგვარებაში."**

# სერგეი შამბა: "ჩვენს მომავალს მაინც რუსეთს ვუკავშირებთ"

**- ბატონო მინისტრო, არსებობს თუ არა ოფიციალური სტატისტიკა, აფხაზეთის მოსახლეობის რამდენი პროცენტია რუსეთის მოქალაქე?**

- მე ამ პრობლემასთან პირდაპირ ვარ დაკავშირებული. მართალია, ამის შესახებ ოფიციალური სტატისტიკა არ გაგვაჩნია, მაგრამ ვარაუდი შეგვიძლია. როგორც ჩანს, რუსეთის მოქალაქეა აფხაზეთის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა, ზოგიერთი მონაცემით - 90 პროცენტი. ცალკეული ადამიანები, რომლებმაც საბუთების გაფორმება დააგვიანეს, ახლაც მოგვმართავენ, მაგრამ ეს პრაქტიკულად ერთეულებია. ისინი მოგვმართავენ აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში, რათა მათთვის რუსული პასპორტების გაცემა დაჩქარდეს. იმდენად, რამდენადაც პროცესი უკვე რამდენიმე წელია გრძელდება, მომართვის ძირითადმა ტალღამ უკვე გადაიარა.

**- ვინც ახლა მოგმართავთ, მათ ძველი საბჭოთა პასპორტები აქვთ?**

- დიახ. მთლიანობაში ის ფაქტი, რომ აფხაზეთი ჯერ კიდევ აუღიარებელი სახელმწიფოა, ბევრ პრობლემას ქმნის - ეს ცხადია. ომის შემდეგ, ეკონომიკური და პოლიტიკური სანქციების მიუხედავად, აფხაზეთი განვითარდა. ამას ჩვენი კეთილისმყოფელებიც ადასტურებენ და ანგაჟირებული ადამიანებიც. ეკონომიკური განვითარება დამოკიდებულია ინვესტიციებზე. ასეთ გაურკვეველ რეგიონში ინვესტირებას კი ყველა ვერ გაბედავს, მაგრამ ჩვენ ჩამოგვიყალიბდა ტრადიციულად კარგი ურთიერთობები რუსეთთან. ჩვენი პოზიცია სტაბილურია და რუსეთთან დაახლოებისკენაა მიმართული. სწორედ ასეთი ვითარებაა ბიძგის მიმცემი მრავალი რუსისათვის, ენდონ აფხაზეთის ხელისუფლებას. ამიტომ რუსეთიდან აფხაზეთში კაპიტალდაბანდება ყველაზე რთულ პერიოდშიც კი მცირე მასშტაბით, მაგრამ მაინც იყო. ამან სხვა უფრო დიდი საწარმოებიც წაახალისა.

ინვესტიციების გაზრდასთან ერთად უკეთესობისკენ იცვლება სოციალური ფონიც. შარშან აფხაზეთის კურორტებზე იმდენივე დამსვენებელი იყო, რამდენიც საბჭოთა პერიოდში - მილიონამდე ტურისტი. ტურიზმზე დიდ იმედებს ვამყარებთ.

ასევე პრიორიტეტულია სოფლის მეურნეობა. აფხაზურ ციტრუსებს რუსეთში დიდი მომხმარებელი ჰყავს. ამიტომ ჩვენს მომავალს მაინც რუსეთს ვუკავშირებთ. ეს ბუნებრივია იმიტომაც, რომ ტრადიციული კულტურული კავშირების გარდა, რუსეთთან ეკონომიკური და სხვა ფაქტორებიც გვაკავშირებს.

**- დავუბრუნდეთ მოქალაქეობის საკითხს. ალბათ, გალში დაბრუნებულ დევნილებს ახალი ქართული პასპორტები აქვთ. როგორ რეგულირდება ასეთი ნიუანსები?**

- ჩვენს სახელმწიფო პოლიტიკაში ეთნიკური და სარწმუნოებრივი ნიშნით დაყოფა არ ხდება. ეს არა მხოლოდ კონსტიტუციური ნორმაა, არამედ ასეა სინამდვილეში. იმიტომ, რომ გვესმის: სტაბილურობა საზოგადოებაში არსებულ ჰარმონიაზეა დამოკიდებული. ნებისმიერ კონფრონტაციას შეუძლია ჩვენი ახალგაზრდა სახელმწიფოს დაღუპვა, ამიტომ ვცდილობთ, უზრუნველვყოთ ინტერესთა ჰარმონია. რაც შეეხება გალის რაიონის პასპორტიზაციას, პრობლემა ის კი არ არის, თითქოს ჩვენ ამ რაიონის მოსახლეობისთვის რუსული პასპორტების დარიგება არ გვინდა, უბრალოდ, უმრავლესობას ქართული პასპორტები და მოქალაქეობა გააჩნია. აქ კი წარმოიშობა პრობლემა - ორმაგი მოქალაქეობის ინსტიტუტი ხომ საქართველოში და რუსეთში არ არსებობს. მთლიანობაში კი გალის მოსახლეობისთვის არავითარი შეზღუდვა არ არსებობს.

**- აიღებენ თუ არა გალის რაიონის მცხოვრებლები შიდა აფხაზურ პასპორტებს, რომელთა გაცემაც ამ წლიდან იწყება?**

- შიდა აფხაზურ პასპორტებს აიღებს ყველა, ვინც ამის სურვილს გამოთქვამს. ეს პრობლემა დაკავშირებულია პოლიტიკური საკითხების მოუგვარებლობასთან და მრავალ ადამიანს თვითიდენტიფიცირება, უბრალოდ, არ შეუძლია. ამასთან დაკავშირებით ჩვენ არ ვაპირებთ, ვინმეს აფხაზური მოქალაქეობა და პასპორტები თავს მოვახვიოთ. ეს გალის რაიონსაც ეხება. რა თქმა უნდა, იქაც გავხსნით შესაბამის პუნქტებს და ვინც მოინდომებს, შიდა აფხაზურ პასპორტებს მიიღებს კიდეც.

ჩვენ ამ საკითხს არსებული რეალობის გათვალისწინებით მივუდგებით და იმ ადამიანებს, რომლებიც აფხაზური პასპორტების აღებას არ აპირებენ, არავითარ პრობლემებს არ შევუქმნით. უბრალოდ, საერთაშორისო სამართლის ნორმებით ასეთ ადამიანებს საარჩევნო ხმა არ ექნებათ. ისინი აფხაზურ არმიაში სამსახურსაც ვერ შეძლებენ. სხვა უფლებები, მათ შორის, უსაფრთხოების უფლება ყველასათვის დაცული იქნება.

ჩვენი მიდგომა ასეთია: მოვა დრო, როცა გალის მოსახლეობას შეეძლება, თავისუფლად გამოხატოს საკუთარი ნება. აი, მაშინ ისინი თავად გადაწყვეტენ, რა იქნება მათთვის უკეთესი.

**- დღეს, როცა მოსახლეობას, ძირითადად, რუსული საზღვარგარეთული პასპორტები გააჩნია, პრობლემაა თუ არა ვიზების გაცემა, ვთქვათ, აშშ-ში გასამგზავრებლად, ან - ევროკავშირის ქვეყნებში? აფხაზეთის მოსახლეობისთვის შეზღუდვები არ არის?**

- ვიზები გაიცემა. უბრალოდ, არის ერთი საერთო პრობლემა, რომელიც აფხაზეთს არ ეხება. ის დაკავშირებულია დასავლეთ ევროპის ქვეყნების სიფრთხილესთან კავკასიის მაცხოვრებლების მიმართ. მრავალი ფაქტია, როცა კავკასიის რესპუბლიკების მოქალაქეები რჩებიან ევროპაში და ამა თუ იმ ქვეყნისთვის პრობლემებს ქმნიან. ამიტომ, როცა არსებობს მოწვევა, საქმე უფრო ადვილადაა, ისე კი თავს იჩენს სირთულეები, თუმცა ყოველთვის არა. პრინციპში, ჩვენთანაც ისეთივე დამოკიდებულებაა, როგორც რუსეთის სხვა მოქალაქეებთან. აღსანიშნავია, რომ ჯერ არ ყოფილა ფაქტი, აფხაზი საზღვარგარეთ წასულიყოს და არ დაბრუნებულიყოს.

**- აფხაზეთიდან რუსეთში სამუშაოდ ჩასულ ადამიანს ექმნება თუ არა რეგისტრაციის პრობლემები?**

- ჩვენ კმაყოფილნი ვართ დღევანდელი მდგომარეობით. პასპორტები, რომლებსაც აფხაზეთის მოსახლეობა ფლობს, გაიცემა რუსეთის იმ მოქალაქეებზე, რომლებიც რუსეთის საზღვრებს გარეთ ცხოვრობენ.

ჩვენთვის ეს არის საზღვარგარეთ გასასვლელი საბუთები. თუ ვინმეს სურს, რუსეთის მაცხოვრებელი გახდეს და რუსეთის შიდა პასპორტი მიიღოს, ეს სულ სხვა პრობლემაა. სიმართლე გითხრათ, ამ ტენდენციით დაინტერესებულები არც ვართ, ვინაიდან არ გვსურს, რომ ჩვენი მოქალაქეები რუსეთისკენ მიედინებოდნენ.

რუსეთში აფხაზური პასპორტის მფლობელთათვის რაიმე განსაკუთრებული ბარიერი არ არსებობს. ცნობილია, რომ რუსეთში განსაკუთრებული დამოკიდებულებაა კავკასიელებისადმი, მაგრამ აფხაზებთან მიმართებაში ლოიალობას იჩენენ და ამ მხრივ რაიმე ექსცესი ჯერ არ დაფიქსირებულა. სხვათა შორის, აფხაზური პასპორტების ასაღებად ისეთებიც მოგვმართავენ, რომლებსაც აფხაზეთში საერთოდ არ უცხოვრიათ - ძირითადად, რუსეთიდან, თურქეთიდან და სომხეთიდან.

**- შეიძლება ითქვას, რომ გალში დაბრუნებული დევნილების ინტეგრაცია ხდება აფხაზურ სახელმწიფო სტრუქტურებში, ვთქვათ, შინაგან საქმეთა სამინისტროში?**

- ჩვენ აფხაზეთში დაბრუნებას ხალხს არასოდეს ვუკრძალავდით. ამ პროცესის უსაფრთხოებისათვის ჩვენ ქართულ მხარესთან მოვილაპარაკეთ, რომ პირველ ეტაპზე დაბრუნება მხოლოდ გალის რაიონში უნდა მოხდეს. ეს პროცესი, თავისი სირთულიდან გამომდინარე, უკვე 13 წელია, გრძელდება. გვეგონა, რომ გალში უსაფრთხოების დაცვა შედარებით ადვილი იქნებოდა, მაგრამ ამ რაიონში სიტუაციის დესტაბილიზაცია სულ უფრო და უფრო შეიმჩნეოდა. გაეროსა და ეუთოს მიერ 2000 წელს გაკეთებული მონიტორინგის ანგარიშის ერთი პუნქტი ადასტურებდა, რომ ქართული შეიარაღებული ფორმირებები განგებ აშინებდნენ გალში დაბრუნებულ დევნილებს. ეს ხდებოდა იმის საჩვენებლად, რომ აფხაზური ხელისუფლება სიტუაციას ვერ აკონტროლებს. ამის მიზანი კი ის იყო, რომ გალში შერეული ადმინისტრაცია შემოეღოთ და სამშვიდობო კონტინგენტი შეეცვალათ. სიტუაცია ცოტათი მაშინ ჩაწყნარდა, როცა ოფიციალურმა პარტიზანულმა რაზმებმა მოქმედება შეწყვიტეს, თუმცა ბოლო თვის განმავლობაში სიტუაციის ესკალაცია ისევ შეიმჩნევა. ჩვენი აზრით, ეს დაკავშირებულია ქართული მხარის სურვილთან, მოხდეს სამშვიდობო კონტინგენტის ინტერნაციონალიზაცია და გალში გაეროს სამოქალაქო პოლიცია შევიდეს. საქართველოსთვის დევნილების დაბრუნება პოლიტიკური საკითხია. და ასევეა ჩვენთვისაც, ვინაიდან ცხადია, რომ დემოგრაფიული სურათის შეცვლა სხვა პოლიტიკურ რეალიებს გამოიწვევს. თუმცა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, არსად და არასდროს არ გაგვიცხადებია, რომ უარს ვამბობთ ამ პროცესზე.

ამასწინათ სოჭში ჩვენ მოვიწონეთ გაეროს უმაღლესი კომისრის პროგრამა დევნილებთან დაკავშირებით. ჩვენ მზად ვართ, აქტიურად ვიმუშაოთ ამ მიმართულებით. დერჯერობით, საუბარია მხოლოდ გალზე. როდის დადგება აფხაზეთის სხვა რაიონების რიგი, ძნელი სათქმელია. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რამდენად შეიქმნება დაბრუნებისთვის უსაფრთხო პირობები.

***რეგნუმ.რუ***

გამოხმაურება

## სტუმრად ფაცაში

*"საქართველოს ახალგაზრდა პოლიტოლოგთა და ჟურნალისტთა ასოციაციის" თავმჯდომარე სოფიკო სალაყაია გვწერს: "ქვენი აფხაზეთის" წინა ნომერში გამოქვეყნებულ წერილში - "გალელები ფაცაში" - დაშვებულია უზუსტობა. კერძოდ, არასწორადაა მითითებული პროექტის ავტორი და შემსრულებელი ორგანიზაცია. ამასთან დაკავშირებით გთავაზობთ ასოციაციის მიერ მოწოდებულ მასალას, რომელიც ახალ ინფორმაციასაც მოიცავს.*

ბავშვთა ფეხბურთის გუნდი "ზღვაური" აფხაზეთის ტერიტორიაზე, გალის რაიონის სოფელ ოტობაიაში რამდენიმე წელია არსებობს. კონფლიქტის ზონაში არსებული საშიში ვითარების და მუშაობის რთული პირობების მიუხედავად, გუნდმა მოკლე დროში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია - თუნდაც კავკასიის ფეხბურთის ტურნირში. გუნდის წევრები დაახლოებით 12-16 წლის ბავშვები არიან, რომლებიც გალის რაიონის სოფლების მცხოვრებნი არიან.

"საქართველოს ახალგაზრდა პოლიტოლოგთა და ჟურნალისტთა ასოციაცია", რომელიც აქტიურად მუშაობს კონფლიქტის ზონაში მცხოვრებ ქართველ ბავშვებთან და ამ ბავშვებისა და მათი სოციალური და ფიზიკური რეაბილიტაციის და დანარჩენ რეგიონებთან ინტეგრაციის მიმართულებით, ზემოთ აღნიშნული გუნდის მოთამაშეთა მონაცემებით დაინტერესდა და, მათი მომავალი წარმატებებისათვის ღრმა მიზნით, შეიმუშავა პროექტი თურქეთში ქართველთა საფეხბურთო გუნდის ტურის ჩატარების შესახებ. თურქეთის მხარესთან შეხვედრის ორგანიზება ფაცაში მოეწყო.

მიიღეს ქართველთა სათვისტომოს, ადგილობრივი მერიის, კულტურისა და სპორტის განყოფილების წარმომადგენლებმა. პროექტის ორგანიზატორების შორის შეხვედრა კეთილ თვისებაში მიმდინარეობდა, სადაც კეთილგანწყობილი დიალოგის დროს გამოითქვა კულტურისა და სპორტის სფეროში შემდგომი თანამშრომლობის სურვილი, დაისახა შესაძლო პროექტების პირველი ეტაპი. დაიგეგმა ზაფხულში ქართველთა საერთაშორისო ტურნირის ჩატარება უფრო დიდი მასშტაბით. სტუმრებს ასეთივე თბილი მიღება მოუწყო ადგილობრივმა მოსახლეობამ. ისინი ტურნირის მიმდინარეობას დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალს.

თურქეთის ფეხბურთის ფედერაციამ ორი ქართველი, გალელი ბავშვის მონაცემებში მიიღო და მათი მომავალი ფორმირებისთვის გამოთქვა.

საბავშვო ტურნირის დასრულების შემდეგ პროექტის ორგანიზატორებისა და ადგილობრივ ახალგაზრდებს შორის ამხანაგური მატჩი გაიმართა, რაც დაასრულა და შედეგად კეთილი ურთიერთობების და ურთიერთობის გაღრმავებისათვის კიდევ ერთი მიზეზი გახდა.

პროექტის წარმატებული დასასრულით კმაყოფილი სტუმრები და მასპინძლები მომავალი შეხვედრისთვის იმედებით გამომშვიდობნენ ერთმანეთს.

თურქეთიდან დაბრუნებული გალელი ბავშვები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობის ინიციატივით დახმარების შედეგად ერთი დღე ბათუმში დარჩნენ და ბათუმელ თანატოლებთან ორი მატჩი ითამაშეს.

"ზღვაური" ფეხბურთელები დაგვიანდნენ შედეგად თურქეთის ბავშვთა და დაბრუნებულების ჯეოფრეოტისით არ მოძლიერდნენ და გასულ კვირას ქართული დაბრუნებული ბიჭები მოდიოდნენ. ისინი იმედოვნებენ, რომ ხელოვნების ტურნირებში ისევ მიუწვდებათ მონაწილეობის მიღება.

ვინ იცის, იქნებ მსგავსი პროექტები დიდი წარმატების დასაბამი გახდეს კონფლიქტის ჩაქრობისა და სპორტის მეშვეობით ქართველი ფეხბურთელების გაძლიერებისა.

ტურნირი, რომელიც ხუთი დღე გაგრძელდა, ჩატარდა ქ. ფაცაში.

საქართველოდან თურქეთში ჩასული სტუმრები გულთბილად

პროექტის ფინანსური მხარდამჭერის სერვისის ორგანიზაციის "საქართველოს ბავშვთა სამინისტროს კანცელარიის სამხედრო ურთიერთობების დეპარტამენტმა და გალის რაიონის მიერ გამოყოფილი ... ორგანიზაციამ "თურქეთის ფედერაციამ", რომლებმაც ბავშვების გუნდების მხარდაჭერა, ფინანსური ინიციატივა მოახდინა.

**პროექტი "თქვენი აფხაზეთი"**
ჩვენი პოვნა შეგიძლიათ: გაზეთ **"24 საათი"**, ყოველ ოთხშაბათს
და საიტზე - www.yourabkhazia.ge;
forum.yourabkhazia.ge

**პროექტის მხარდამჭერი** conciliation resources

მოკლედ

## საგარეო უწყების ბრალდება

"გალის რაიონში ვითარება შემაშფოთებელ ხასიათს იღებს. იგი ვერ კონტროლდება იქ განლაგებული, რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტის მიერ, რაც განაპირობებს ადგილობრივი მოსახლეობის ელემენტარული უფლებების სისტემატურად დარღვევის შესაძლებლობებს და მათ სიცოცხლეს სერიოზულ საფრთხეს უქმნის," - ნათქვამია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

საგარეო უწყებაში აცხადებენ, რომ ბოლო დღეებში გალის რაიონში კრიმინოგენული ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა. თითქმის ყოველდღიურად ადგილი აქვს ამ რაიონის ადგილობრივ მცხოვრებლებზე ყაჩაღური თავდასხმის, ძარცვის, გამოსასყიდი თანხის მიღების მიზნით მშვიდობიანი მოსახლეობის გატაცების ფაქტებს. მაგალითისთვის დასახელებულია 13 იანვარს, საღამოს 9 საათზე უცნობი ხუთკაციანი შეიარაღებული ჯგუფის თავდასხმა სოფელ თაგილონში მცხოვრებ ვალერი გაბისონიას ოჯახზე.

როგორც ცნობილია, თავდამსხმელებმა ოჯახის უფროსი ვალერი გაბისონია უცნობი მიმართულებით გაიტაცეს, ხოლო ოჯახის სხვა წევრებს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. მოგვიანებით, კრიმინალებმა გამოსასყიდი თანხის სახით 50 ათასი დოლარი მოითხოვეს. საგარეო უწყების ცნობით, ამავე ჯგუფის მიერ 15 იანვარს, დაახლოებით დღის 4 საათზე სოფელ ნაბაკევში სამარშრუტო ავტობუსზე განხორციელდა მორიგი ყაჩაღური თავდასხმა, რის შედეგადაც გატაცებული იქნა ავტობუსში მყოფი მგზავრი, სოფელ განახლებაში მცხოვრები არქანია. ამ ეტაპზე მისი ადგილსამყოფელი უცნობია. "ამგვარი მდგომარეობის შენარჩუნებამ შესაძლოა გამოუსწორებელ შედეგებამდე მიგვიყვანოს და აუცილებლად მიგვაჩნია გადამჭრელი ზომების მიღება ვითარების გაუმჯობესების მიზნით. კერძოდ, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში მონაწილე ქვეყნების ძალისხმევის გააქტიურება, გალის რაიონში გაეროს საპოლიციო კონტინგენტისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისის დროულად ამოქმედება, ამ რეგიონში ადამიანის უფლებათა დაცვის ეფექტური საერთაშორისო მონიტორინგის განხორციელება," - ნათქვამია განცხადებაში. **მედიანიუსი**

## ბაგაფშის ბრალდება

აფხაზი სეპარატისტების ლიდერი სერგეი ბაგაფში გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის მოადგილეს ივო პეტროვს შეხვდა. შეხვედრას, აგრეთვე, სეპარატისტული სოხუმის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა ესწრებოდა.

ბაგაფშმა გალის რაიონში ვითარების დაძაბვის გამო შეშფოთება გამოთქვა და იქ განვითარებულ მოვლენებში საქართველოს ხელისუფლება დაადანაშაულა. "ბოლო დღეების მოვლენები ამტკიცებს, რომ საქართველოში ტერორიზმი სახელმწიფო პოლიტიკის რანგშია აყვანილი. გალში მოქმედი ქართული ბანდფორმირებები საქართველოს ხელისუფლების მხარდაჭერით სარგებლობენ," - აცხადებს სერგეი ბაგაფში. მან "ღია ბანდიტიზმის" ფაქტებზე საერთაშორისო საზოგადოებრიობისა და გაეროს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების ჯგუფის სათანადო რეაქცია მოითხოვა. ბაგაფშმა ივო პეტროვს აცნობა, რომ აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს და უშიშროების სამსახურის ძალებით გალის რაიონში საზოგადოებრივი წესრიგისთვის გარკვეული ზომების გატარებას აპირებს. ივო პეტროვმა სეპარატისტების ლიდერს განუცხადა, რომ აფხაზური მხარის პოზიციას საქართველოში გაეროს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელს ჰაიდი ტალიავინის გააცნობს. **მედიანიუსი**

# განცხადება

## ქალაქ ბათუმის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისია აცხადებს კონკურსს ქალაქ ბათუმში, ლ. ასათიანისა და მარჯანიშვილის ქუჩების კვეთაში მდებარე 760 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემის მიზნით

**შესავალი**

ქ. ბათუმში, ლ. ასათიანისა და მარჯანიშვილის ქუჩების კვეთაში ყოფილი სასწრაფო დახმარების სადგურის ქვეშ არსებულ თავისუფალ ტერიტორიაზე საზოგადოებრივი კვების უმაღლესი კლასის ობიექტის (რესტორანი) მოწყობის მიზნით, ქ. ბათუმის მთავრობის 2006 წლის 6 იანვრის N8 დადგენილების შესაბამისად ქალაქ ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის მიწის მართვისა და განკარგვის კომისია აცხადებს კონკურსს ქალაქ ბათუმში, ლ. ასათიანისა და მარჯანიშვილის ქუჩების კვეთაში მდებარე 760 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გაცემაზე.

**1. კონკურსის მიზანი**

კონკურსის მიზანია ქ. ბათუმში, ლ. ასათიანისა და მარჯანიშვილის ქუჩების კვეთაში არსებული 760 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემით საზოგადოებრივი კვების უმაღლესი კლასის ობიექტის (რესტორანი) მოწყობა.

**2. ინფორმაცია მიწის ნაკვეთის შესახებ**

მიწის ნაკვეთის მისამართი: ქალაქი ბათუმი, ლ. ასათიანისა და მარჯანიშვილის ქუჩების კვეთა;

მიწის ნაკვეთის განკარგვის წესი: კონკურსი;

მიწის ნაკვეთის გასხვისების ფორმა: საკუთრება;

მიწის ნაკვეთის გამოყენების ფორმა (მიზნობრივი) - საზოგადოებრივი კვების უმაღლესი კლასის ობიექტის (რესტორანი) მოწყობა;

მიწის ნაკვეთის ფართობი: 760 კვ.მ;

მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი 1 კვ.მ-ზე - 400 ლარი, სულ 304 000 ლარი.

**3. საკონკურსო პირობები**

კონკურსის ძირითადი პირობებია:

1. ა) მიწის ნაკვეთის საწყისი გასაყიდი ფასი ყველა მონაწილესათვის ერთნაირია და შეადგენს 1 კვ.მ. 400 ლარს, სულ 304 000 ლარს. მიწის ნაკვეთის მოშენების ფართი არ უნდა იყოს კონკურსის წესით გასაცემი ნაკვეთის 80%-ზე ანუ 488 კვ.მ. მეტი. სართულიანობა დასაშვებია არაუმეტეს სამი სართულისა, საზაფხულო მანსარდის ჩათვლით. კონკურსში მონაწილე პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი (მათ შორის საპროექტო) წინადადებები საკონკურსო ტერიტორიაზე განთავსებული საზოგადოებრივი კვების ობიექტების შესახებ. საპროექტო წინადადება აუცილებელია წარმოდგენილი

იყოს მინიმალური მოცულობით (ესკიზის სახით) ასევე პროექტში გათვალისწინებული უნდა იყოს თანამედროვე ტექნოლოგიათა გამოყენება და უნდა იძლეოდეს წარმოდგენას შენობის ძირითადი გეგმარებითი და ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლების შესახებ.

ბ) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს უფლებამოსილი პირის მიერ თითოეულ ფურცელზე ხელმოწერილი საკონკურსო წინადადება, რაც დადა-სტურებული უნდა იყოს ნოტარიალური წესით.

2. ა) კონკურსში მონაწილეობის გარანტიისათვის პრეტენდენტმა კომისიის სასარგებლოდ უნდა წარმოადგინოს დეპოზიტი 15 200 ლარის ოდენობით, რაც წარმოადგენს 760 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საწყისი ფასის 304  000 ლარის 5%-ს.

ბ) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს საბანკო ან/და სადაზღვევო დაწესებულებისაგან გაცემული თანხმობა, რომ მისი გამარჯვების შემთხვევაში საბანკო ან/და სადაზღვევო დაწესებულება გასცემს საბანკო გარანტიას კონკურსში გამარჯვებული პირის ვალდებულების უზრუნველსაყოფად არანაკლებ 150 000 ლარის ფარგლებში, ხოლო გამარჯვებულის გამოვლენის, კომისიის შემაჯამებელი ოქმის დამტკიცების და შეტყობინების გამარჯვებულის მიერ მიღებიდან 10 საბანკო დღის ვადაში გამარჯვებულმა უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება გამარჯვებულის მიერ ნაკისრი ვალდებულება არანაკლებ 150 000 ლარით.

აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობა წარმოადგენს საფუძველს კონკურსის შედეგების გაუქმებისათვის და გამარჯვებულთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებაზე უარის თქმისათვის, რა დროსაც კონკურსში გამარჯვებულს პირგასამტეხლოს სახით დაეკისრება 3000 ლარის გადახდა.

3. საკუთრებაში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე საზოგადოებრივი კვების უმაღლესი კლასის ობიექტის (რესტორანი) მოწყობა.

4. პრეტენდენტი გამარჯვების შემთხვევაში ვალდებულია მიწის ნაკვეთზე განახორციელოს მოშენება შემდეგი პირობების დაცვით:

ა) მოშენება დასაშვებია 530 კვ.მ. მიწის ფართზე, იმდაგვარად, რომ მარჯანიშვილის ქუჩის N4-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის სამხრეთ-დასავლეთ კედლიდან ოთხმეტრიანი მანძილის დაცვით ეზოს სიღრმის მიმართულებით დარჩენილ 230 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე შენარჩუნდეს მიწის ნაკვეთის დღეს არსებული სამართლებრივი რეჟიმი, ანუ იგი დაიტვირთება უვადო სერვიტუტით მოცემულ მისამართზე არსებული საცხოვრებელი სახლის მფლობელთა სასარგებლოდ.

ბ) განახორციელოს მოშენება მარჯანიშვილის ქ. N4-ში მდებარე საცხო-ვრებელი სახლის სამხრეთ-დასავლეთის კედლიდან ოთხი მეტრისა და ეზოს სიღრმის მიმართულებით 10,50 მეტრის ფარგლებში (40 კვ.მ.) არანაკლებ 4,5 მეტრი სიმაღლის დაცვით.

გ) განახორციელოს მემედ აბაშიძის ქუჩიდან ლუკა ასათიანისა და მარჯანიშვილის ქუჩების კვეთამდე, ასევე ლუკა ასათიანის ქუჩიდან მარჯანიშვილისა და დ. თავდადებულის ქუჩების კვეთამდე არსებული მიმდე-ბარე ტერიტორიის - ტროტუარების კეთილმოწყობა და საცხოვრებელი სახლების ფასადების კეთილმოწყობა (შეღებვა) ქ. ბათუმის ქალაქგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის ადგილობრივ სამსახურთან შეთანხმებით.

5. კონკურსში გამარჯვებული პირი ვალდებულია მშენებლობა დაიწყოს ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან არაუგვიანეს 3 თვისა და დაასრუ-ლოს არაუგვიანეს 20 თვისა.

6. საკონკურსო წინადადება ითვლება ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად იმ შემთხვევაშიც, თუ იგი ხელშეკრულებაში არ არის შეტანილი და მათი შეუსრულებლობა წარმოადგენს საფუძველს კონკურსის შედეგების გაუქმების, გამარჯვებულთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების ან დადებული ხელშეკრულების მოშლისათვის. კონკურსში გამარჯვებულთან დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების გამყიდველის მიერ ცალმხრივად შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს ასევე მყიდველის მიერ საკუთრებაში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე საკონკურსო წინადადებით დადგენილ ვადაში მშენებლობის განუხორციელობლობა ან/და სხვა საკონკურსო პირობების დარღვევა.

**4. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის პირობები.**

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის პირობაა მაღალი ფასის შემოთავაზება, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადება, შემოთავაზებული სხვა პირობები და მომსახურების სახეები, რომლებიც საუკეთესოდ იქნება მიჩნეული.

**5. კონკურსში მონაწილეობის პირობები.**

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირებს, რომლებიც აიღებენ ვალდებულებას, რომ კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში გააფორმებენ თანდართულ ხელშეკრულებას ქალაქ ბათუმის მთავრობასთან;

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;

ბ) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები (მათ შორის სა-პროექტო) ცალკე დალუქული სახით;

გ) პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ ფინანსური გარანტია საბანკო ან სადაზღვევო კომპანიისაგან;

დ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს საანგარიშსწორებო ან-გარიშზე სავალდებულო შენატანის სახით თანხის დეპონირების დამადასტუ-რებელი დოკუმენტი;

ე) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები;

ვ) ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ პრეტენდენტი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ზ) იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტაციას.

კომისიის გადაწყვეტილება მიიღება კომისიის საჯარო სხდომის დამთავრების შემდეგ არა უგვიანეს 30 დღისა. გადაწყვეტილება მიიღება კომისიის წევრთა ღია კენჭისყრით, ხმათა უბრალო უმრავლესობით და შეიტანება სხდომის ოქმში.

სახელმწიფო და მისი ოფიციალური პირები პასუხს არ აგებენ მატერიალურ დანახარჯებზე, რომლებსაც გასწევენ პრეტენდენტები საკონკურსო პროცესში მონაწილეობისათვის.

საკონკურსო დოკუმენტაციის პაკეტისა და სხვა ინფორმაციის მისაღებად პრეტენდენტმა უნდა მიმართოს საკონკურსო კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმის ეკონომიკური პოლიტიკის ადგილობრივი სამსახური, ლუკა ასათია-ნის ქ. N25. ტელ: 7-26-45; 7-20-03.

კონკურსში განაცხადის მიღება შეწყდება 2006 წლის 20 თებერვალს, 1500 სთ-ზე.

კომისიის სხდომაზე პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დალუქული პაკეტების გახსნა და საჯარო განხილვა მოხდება 2006 წლის 20 თებერვალს, 1600 სთ-ზე.

კონკურსში მონაწილეობისათვის პრეტენდენტმა "ბე" უნდა შეიტანოს შემდეგ ანგარიშზე:

აჭარის ცენტრალური ბანკი 220501102

მიმღები - ქ. ბათუმის საფინანსო სამსახური.

საიდენტიფიკაციო კოდი 245428531.

ანგარიშსწორების ანგარიშის N000142402

# განცხადება

## ქალაქ ბათუმის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისია აცხადებს კონკურსს ქ. ბათუმში, მდინარე ბარცხანის შესართავის მარჯვენა მხარეს  ზღვის სანაპირო ზოლში მდებარე 1300 კვმ მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემის მიზნით

**შესავალი**

ქალაქის იერსახის გაუმჯობესებისა და საკურორტო ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით ქ. ბათუმის მთავრობის 2006 წლის 6 იანვარის N10 დადგენილების შესაბამისად ქ. ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის მიწის მართვისა და განკარგივის კომისია აცხადებს კონკურსს ქ. ბათუმში, მდ. ბარცხანის შესართავის მარჯვენა მხარეს არსებულ ზღვისპირა ზოლში რესტორნისა და კემპინგის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემაზე.

**1. კონკურსის მიზანი**

კონკურსის მიზანია ზღვის სანაპირო ზოლში დასვენებისა და გართობის კერის მოწყობა და მისი თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისობაში მოყვანა და მოსახლეობის დასვენების აქტიურ კერად გადაქცევა, რისთვისაც გათვა-ლისწინებულია რესტორნისა და კემპინგის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის 29 წლიანი იჯარით გადაცემა.

**2. ინფორმაცია მიწის ნაკვეთის შესახებ.**

მიწის ნაკვეთის მისამართი: ქ. ბათუმი, მდინარე ბარცხანის შესართავის მარჯვენა მხარეს არსებული ზღვის სანაპირო ზოლი.

მიწის ნაკვეთის განკარგვის წესი: კონკურსი.

მიწის ნაკვეთის გასხვისების ფორმა: იჯარა.

მიწის ნაკვეთის გამოყენების ფორმა (მიზნობრივი) - რესტორნისა და კემპინგის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის გაცემა.

მიწის ნაკვეთის ფართობი: 1300 კვ.მ.

მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი: 1 კვ.მ. - 3 ლარი, სულ 3900 ლარი.

**3. საკონკურსო პირობები.**

კონკურსის ძირითადი პირობაა ქალაქის იერსახის გაუმჯობესება და არსებულ გამწვანებულ ზღვისპირა ზოლზე რესტორნისა და კემპინგის მოწყობა.

სახელმწიფო დანიშნულების მქონე ობიექტის მშენებლობის (განთავსების) აუცილებლობის შემთხვევაში კონკურსში გამარჯვებული პრეტენდენტი ვალდებული იქნება ყოველგვარი წინააღმდეგობისა და პირობების გარეშე გაათავისუფლოს იჯარით აღებული ტერიტორია.

საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვრება 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთისათვის 3 ლარით, ხოლო შემდეგ წლებში იმ დროისათვის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური საიჯარო ქირის ოდენობიდან გამომდინარე მოხდება ამ თანხის კორექტირება.

იჯარის ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ, მხარეთა შეთანხმებით, შესაძლებელია ხელშეკრულების გაგრძელება 10 წლის ვადით.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს, აგრეთვე კერძო პირებს, რომლებიც აიღებენ ვალდებულებას, რომ კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში გააფორმებენ შესაბამის ხელშეკრულებას. შედგომში ეს პირები მოიხსენიებიან, როგორც პრეტენდენტი.

კონკურსში მონაწილეობისათვის პრეტენდენტმა საკონკურსო კომისიას უნდა წარუდგინოს განცხადება, რომელშიც მითითებული იქნება კონკურსში მონაწილეობის სურვილი. განცხადებასთან ერთად წარდგენილი უნდა იქნეს სადამფუძნებლო დოკუმენტების (იურიდიული პირებისათვის) ან პირადობის მოწმობის (ფიზიკური პირებისათვის) დამოწმებული ასლები.

კონკურსში მონაწილეობის გარანტიისათვის კონკურსში მონაწილეობის მსურველმა კომისიის სასარგებლოდ დეპოზიტზე უნდა შეიტანოს 195 ლარი, რაც წარმოადგენს 1300 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საწყისი საიჯარო ქირის 3900 ლარის 5%-ს. აღნიშნული თანხა გამარჯვებულ პრეტენდენტს ჩაეთვლება პირველი წლის გადასახდელი საიჯარო ქირის ანგარიშში, ხოლო დამარცხე-ბულს ერთი კვირის ვადაში დაუბრუნდება იმავე წესით, რომლითაც მან ეს თანხა შემოიტანა.

პრეტენდენტმა განცხადებასთან ერთად წერილობით, დალუქული კონვერტის სახით, უნდა წარუდგინოს განაცხადი, წინადადებები (შემდგომში-განაცხადი), რომელშიც ასახული უნდა იყოს ამ საკითხებთან დაკავშირებით პრეტენდენტის ხედვა.

სახელმწიფო და მისი ოფიციალური პირები არ აგებენ პასუხს მატერიალურ დანახარჯებზე, რომლებსაც გასწევენ პრეტენდენტები საკონკურსო პროცესში მონაწილეობისათვის.

**4. კონკურსის ორგანიზება და შედეგების გაფორმება**

ქალაქ ბათუმის მთავრობის მიერ დადგენილ ვადაში, პრეტენდენტი წარუდგენს საკონკურსო კომისიას განცხადებას კონკურსში მონაწილეობის თაობაზე, "ბე"-ს გადახდის დამადასტურებელ საბუთს, სადამფუძნებლო დოკუმენტების (იურიდიული პირებისათვის) ან პირადობის მოწმობის (ფიზიკური პირებისათვის) დამოწმებულ ასლებს და განაცხადს ერთი დალუქული პაკეტის სახით.

საკონკურსო კომისია დადგენილ დღეს, დანიშნულ დროს, პრეტენდენტთა წარმომადგენლების თანდასწრებით საჯარო გახილვისათვის გახსნის "განაცხადის" დალუქულ პაკეტებს.

კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდება იმ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი განაცხადი, რომელიც საუკეთესოდ იქნება ცნობილი საკონკურსო კომისიის მიერ და რომელიც სრულად დააკამყოფილებს მთავრობის მიერ დასმულ საკონკურსო პირობებს.

თუ წარმოდგენილი განაცხადი ან დართული დოკუმეტები საჭიროებს შემოწმებას ან დაზუსტებას, საკონკურსო კომისიამ შეიძლება გადადოს გადაწყვეტილების მიღება კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადით, რაც დასჭირდება ამ მონაცემების შემოწმებას ან დაზუსტებას.

თუ პრეტენდენტის განაცხადში ერთი ან მეტი კომპონენტი დამოკიდებულია სხვა პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებულ საიჯარო ქირაზე, ან სხვა რაიმე პირობაზე, ამგვარი განაცხადი არ განიხილება.

გამარჯვებულ პრეტენდენტთან, რომელიც შემდგომში მოიხსენიება როგორც ოპერატორი, ქ. ბათუმის მთავრობა 1 თვის ვადაში გააფორმებს მიწის იჯარის ხელშეკრულებას. (შემდგომში ხელშეკრულება) და მისი პირობების შესაბამისად გადასცემს მას საიჯარო ქონებას და ოპერირების უფლებას. ხელშეკრულების პირობები განისაზღვრება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის, გამოცხადებული კონკურსის პირობების და შემოტანილი განაცხადის საფუძველზე.

ხელშეკრულებით ოპერატორს დაეკისრება ამ პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების, საკონკურსო პირობების, აგრეთვე მის მიერვე აღებული ვალდებულებების შესრულება. ხელშეკრულების დარღვევა შეიძლება გახდეს მისი გაუქმების საფუძველი და დამრღვევ მხარეს დაეკისროს მატერიალური პაუხისმგებლობა.

ხელშეკრულების შესრულებისას ოპერატორი იქნება დამოუკიდებელი კონტრაქტორი, მაგრამ მას არ შეუძლია თავისი უფლებები გადასცეს სხვა იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, მათ შორის მისივე მონაწილეობით შექმნილ სააგენტოს, ამხანაგობას, ერთობლივ საწარმოს ან რაიმე სხვა ერთობლივ ორგანიზაციას მთავრობასთან შეთანხმების გარეშე.

ხელშეკრულების შესრულებაზე პასუხისმგებელია მხოლოდ ოპერატორი. ოპერატორის მიერ დაქირავებული ყველა თანამშრომელი, წარმომადგენელი თუ ქვემოიჯარე იქნება ამ კომპანიის სრული კონტროლის ქვეშ.

მთავრობა, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში არ გაასხვისებს, ან რაიმე სხვა ფორმით არ გასცემს სხვა ნებისმიერ პირზე იმ ტერიტორიას, რომელიც ოპერატორს (მოიჯარეს) გადაეცემა მოვლა-პატრონობის უფლებით ოპერატორის თანხმობის გარეშე, გარდა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევისა.

საკონკურსო დოკუმენტაციის პაკეტისა და სხვა ინფორმაციის მისაღებად პრეტენდენტმა უნდა მიმართოს საკონკურსო კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმის ეკონომიკური პოლიტიკის ადგილობრივი სამსახური, ლუკა ასათიანის ქ. N25. ტელ: 7-26-45; 7-20-03.

კონკურსში განაცხადის მიღება შეწყდება 2006 წლის 20 თებერვალს, 1500 სთ-ზე.

კომისიის სხდომაზე პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დალუქული პაკეტების გახსნა და საჯარო განხილვა მოხდება 2006 წლის 20 თებერვალს, 1600 სთ-ზე.

კონკურსში მონაწილეობისათვის პრეტენდენტმა "ბე" უნდა შეიტანოს შემდეგ ანგარიშზე:

აჭარის ცენტრალური ბანკი 220501102

მიმღები - ქ. ბათუმის საფინანსო სამსახური.

საიდენტიფიკაციო კოდი 245428531.

ანგარიშსწორების ანგარიშის N000142402

# განცხადება

## სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელი" აცხადებს საერთაშორისო ტენდერს ტექნიკის შესყიდვაზე

რეკვიზიტები - ქ. თბილისი კოსტავას ქ. N68

| N | საქონლის დასახელება | რ-ბა |
|---|---|---|
| | **ლოტი 1** | |
| 1 | **სატელევიზიო სიგნალის ციფრული პორტატიული გადამცემი მოწყობილობის კომპლექტი სიხშირეების დიაპაზონში– 4000-4500 MHz (4502 MHz და 4814 MHz სიხშირეებზე, სიხშირეების დიაპაზონის გადამრთველით):**<br>- გამომავალი სიმძლავრე - 2 W<br>- ანტენა მიმართული "ტალღური არხი" ("ვოლნოვოი კანალ")<br>-1 MHz ბიჯით არხების წინასწარ აწყობისა და მათი მეხსიერებაში შენახვის შესაძლებლობა, არხის ზოლი 8 MHz , მოდულაცია COFDM DVB-T 2k, მოდულაციის რეჟიმები QPSK, 16QAM, 64QAM, კოდირების ოფციები MPEG 2: 4:2:0/4:2:2 მაღალი ხარისხის ვიდეო (DVB სტანდარტი)<br>-ვიდეო შემავალი - ციფრული SDI 270 Mbit/s; ანალოგური: კომპონენტური, კომპოზიტური (PAL)<br>-ხმის შემავალი- ციფრული: AES 2 x stereo, ანალოგური: 2 x stereo/4 x mono, mic/line – ის გადამრთველით<br>-კვების ძაბვა – DC 12 V<br>-მოწყობილობის სატარებელი კეისი<br>-შტატივი<br>შესაბამისი აკუმულატორი კაბელითურთ მოწყობილობაზე შესაერთებლად -<br>2 ცალი თითო კომპლექტში | 2 |
| 2 | **სატელევიზიო სიგნალის ციფრული პორტატიული მიმღები მოწყობილების კომპლექტი სიხშირეების დიაპაზონში– 4000-4500 MHz (4502 MHz და 4814 MHz სიხშირეებზე, სიხშირეების დიაპაზონის გადამრთველით):**<br>-ანტენა -წრიული, სამაგრებით ანძაზე დასამაგრებლად<br>- 1 MHz - ბიჯით არხების წინასწარ აწყობისა და მათი მეხსიერებაში შენახვის შესაძლებლობა, არხის ზოლი, 8 MHz, დემოდულაცია, COFDM DVB-T 2k, დემოდულაციის რეჟიმები, QPSK, 16QAM, 64QAM, დეკოდირების ოფციები MPEG 2: 4:2:0/4:2:2 მაღალი ხარისხის ვიდეო (DVB სტანდარტი)<br>-ვიდეო გამომავალი-ციფრული: SDI 270 Mbit/s; ანალოგური:კომპონენტური, კომპოზიტური (PAL)<br>-ხმის გამომავალი-ციფრული: AES 2 x stereo, ანალოგური: 2 x stereo/4 x mono, mic/line - ის გადამრთველით<br>-კვების ძაბვა-ცვლადი 190-260 VAC, მუდმივი DC 12 V<br>- P,S. ანტენასა და რესივერს შორის მანძილი - 200 მ | 2 |
| 3 | **სატელევიზიო სიგნალის ციფრული პორტატიული გადამცემი მოწყობილების კომპლექტი სიხშირეების დიაპაზონში– 2300-2500 MHz (2346 MHz და 2370 MHz სიხშირეებზე, სიხშირეების დიაპაზონის გადამრთველით):**<br>- გამომავალი სიმძლავრე - 2 W<br>- ანტენა მიმართული "ტალღური არხი" ("ვოლნოვოი კანალ")<br>-1 MHz ბიჯით არხების წინასწარ აწყობისა და მათი მეხსიერებაში შენახვის შესაძლებლობა, არხის ზოლი 8 MHz , მოდულაცია COFDM DVB-T 2k, მოდულაციის რეჟიმები QPSK, 16QAM, 64QAM, კოდირების ოფციები MPEG 2: 4:2:0/4:2:2 მაღალი ხარისხის ვიდეო (DVB სტანდარტი)<br>-ვიდეო შემავალი- ციფრული SDI 270 Mbit/s; ანალოგური: კომპონენტური, კომპოზიტური (PAL)<br>-ხმის შემავალი- ციფრული: AES 2 x stereo, ანალოგური: 2 x stereo/4 x mono, mic/line – ის გადამრთველით<br>-კვების ძაბვა – DC 12 V<br>-მოწყობილობის სატარებელი კეისი<br>-შტატივი<br>შესაბამისი აკუმულატორი კაბელითურთ მოწყობილობაზე შესაერთებლად-<br>2 ცალი თითო კომპლექტში | 1 |
| 4 | **სატელევიზიო სიგნალის ციფრული პორტატიული მიმღები მოწყობილების კომპლექტი სიხშირეების დიაპაზონში– 2300-2500 MHz (2346 MHz და 2370 MHz სიხშირეებზე, სიხშირეების დიაპაზონის გადამრთველით):**<br>-ანტენა -წრიული, სამაგრებით ანძაზე დასამაგრებლად<br>- 1 MHz - ბიჯით არხების წინასწარი აწყობისა და მათი მეხსიერებაში შენახვის შესაძლებლობა, არხის ზოლი, 8 MHz, დემოდულაცია, COFDM DVB-T 2k, დემოდულაციის რეჟიმები, QPSK, 16QAM, 64QAM, დეკოდერის ოფციები MPEG 2: 4:2:0/4:2:2 მაღალი ხარისხის ვიდეო (DVB სტანდარტი)<br>-ვიდეო გამომავალი-ციფრული: SDI 270 Mbit/s; ანალოგური:კომპონენტური, კომპოზიტური (PAL)<br>-ხმის გამომავალი-ციფრული: AES 2 x stereo, ანალოგური: 2 x stereo/4 x mono, mic/line - ის გადამრთველით<br>-კვების ძაბვა-ცვლადი 190-260 VAC, მუდმივი DC 12 V<br>- P,S. ანტენასა და რესივერს შორის მანძილი - 200 მ | 1 |
| | **ლოტი 2** | |
| 1 | **2 არხიანი ვიდეოსერვერი უწყვეტი კვების წყაროთი:** ერთდროული ჩაწერის (1 Rekord) და გაშვების (1 Play ) ფუნქციით + 1 Key + Logotype), ფორმატი MPEG-2 (50 Mbits 422 P@ML) Dდა DV-25 (25 Mbits MP@ML), Aაპარატურული Raid, ტევადობა 20 სთ ან მეტი SCSI Dდისკებზე. Analog Component in/out, SDI in/out, Gigabit Ethernet. (უნდა შეიცავდეს ადმინისტრირების, ვიდეო ფორმატის კონვერტაციის , არქივირების, ავტომატიზაციის და ძირითადი სერვერის მონაცემთა ბაზის დამატებით სერვერთან ავტომატური სინქრონიზაციის მოდულებს). UPS Smart, 1500 VA, ON-LINE. *(ინსტალაცია+გაშვება)* | 2 |
| | **ლოტი 3** | |
| 1 | **აპარატურულ-პროგრამული კომპლექსი** - ტიტრების გენერატორი ეთერის გაფორმებისთვის, უწყვეტი კვების წყაროთი, არაინტეგრირებული ქსელის კარტით: პლატა SDI ინტერფეისით და ანალოგური კომპონენტური და კომპოზიტური in-out-ით+Alpha Channel; პროგრამული უზრუნველყოფა-ეფექტები, ანიმაცია სტატიკურ ფურცლებზე, ანიმირებული სიმბოლოები Roll და Crawl ტიპის ფურცლებზე; ციფრული საათი+ ტემპერატურის+ატმოსფერული წნევის+ტენიანობის მაჩვენებლებით; Proc 3,2 GHz / HDD 80 Gb IDE (7200 rpm) / HDD 250 Gb IDE (7200 rpm) / RAM Dual-Channel 1 GB / FDD 3,5" / SVGA 128 Mb / CD RW / Keyboard+Optical Mouse / MidiTower 450 W / 17" TFT / Sound Card 24 Bit/ Active Speackers / Gigabit Ethernet 10/100/1000. UPS Smart, 1000 VA, ON-LINE. *(ინსტალაცია+გაშვება)* | 1 |
| 2 | **აპარატურულ-პროგრამული კომპლექსი** სატელეფონო და SMS ინტერაქტიური გამოკითხვების ინფორმაციის მიღების, დამუშავების და ვიზუალიზაციისათვის, გამოკითხვების ბლოკით 4 სატელეფონო ხაზზე, ავტომოპასუხით და ნომრის ამომცნობით, გამოკითხვის რეზულტატების გამოსახვის შესაძლებლობა ორ გრაფიკულ რეჟიმში რიგრიგობით. SDI და YPbPr (YUV) + Alpha channel, Cpu 3,2 GHz / HDD 120 Gb IDE (7200 rpm) / RAM Dual-Channel 1 GB / FDD 3,5" / SVGA 128 Mb / CD RW / Keyboard+Optical Mouse / MidiTower 450 W / 17" TFT / Gigabit Ethernet 10/100/1000. UPS Smart, 1000 VA, ON-LINE. *(ინსტალაცია+გაშვება)* | 1 |
| 3 | **კომპიუტერი სუფლიორისათვის უწყვეტი კვების წყაროთი**-კომპლექტი-სუფლიორის ვიდეო პლატით (Image Motion Technology PCI Video Card (IMT) Genlockable - 4 video distribution, Composite video 1V p-p, 75ohms), ხელის მართვით (Multibutton Hand IMT - 12 Multibutton Hand-control) და პროფესიონალური პროგრამული უზრუნველყოფით (WinCue Pro News): Proc 3,2 GHz /, HDD 120 Gb SATA (7200 rpm)/ RAM Dual-Channel 512 MB / FDD 3,5" / SVGA 128 Mb / CD RW / Keyboard+Optical Mouse / MidiTower 450 W / 17" TFT / UPS Smart, 1000 VA, ON-LINE. *(ინსტალაცია+გაშვება)* | 1 |
| | **ლოტი 4** | |
| 1 | **საოფისე კომპიუტერი** CPU – • 2.4 GHz, L2 Cash • 256 Kb, Bus Frequency • 533 MHz or equal performance / RAM - • 512 Mb DDR / HD - • 40 Gb SATA / FDD – 3.5", 1.44 MB Standard (Internal) / DVD-R+CD-RW - • 52x/32x/52x/16x / Graphics Adapter – • onboard / Audio Adapter – onboard / Speakers - Active Speaker Type / Keyboard – 104 Enhanced keyboard RUS/LAT – PS2 / Mouse – NetScrolling Optical - PS2 / Network Interface Card – LAN 10/100 / CASE - MidiTower (Real 400W) / Monitor -15", LCD, 1024 x768 60Hz, AC 100-240 V or equal performance. | 2 |
